მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ფპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. ესრეთ იყოს სიხარულ ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 17—18 1883—1901 1—30 სექტემბერი

კავკასიის სამრეწველო-სასოფლო გამოფენა.

კვირას ამა 2 სექტემბერს, ნაშუადღევის პირველ საათზედ გაიხსნა კავკასიის საიუბილეო სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენა. დილით დიდძალი ხალხი მოაწყდა გამოფენას. პირველ საათზედ მობრძანდნენ მათი ბრწყინვალება, კავკასიის მთავარ-მართებელი, გენერალ-ადიუტანტი გ. ს. გოლიცინი, მისი თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი ა. ა. ფრეზე სხვა-და-სხვა სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებათა უფროსნი და წარმომადგენელნი, თავად-აზნაურობა, გუბერნიის წინამძღოლი თავ. დ. ზ. მელიქოვი, სახელმწიფოების კონსულები და მრავალნი სხვანი.

სწორედ პირველ საათზედ გამოფენის შუა შენობაში—სააბრეშუმო განყოფილებაში, დაიწყო პარაკლისის გარდახდა მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ, საქართველოს ექსარხოსმა ფლაბიანემ. პარაკლისის შესრულებაში მონაწილეობდენ მხოლოდ სემინარიის რექტორი, ინსპექტორი, დეკ. ვოსტორგოვი და სიონის ტაძრის კანდელაკი მღვდელი ტოტიბაძე. ქალაქის სამღვდელოებათაგანი არავინ არ ყოფილა. სახარების წაკითხვის შემდეგ დეკ. ვოსტორგოვმა სიტყვა წარმოსთქვა. სიტყვაში, სხვათა შორის, მოიხსენია, ალექსანდრე პირველის მანიფესტის სიტყვები საქართველოს რუსეთთან შეერთების გამო. იმპერატორმა ბრძანაო, წარმოსთქვა ვოსტორგოვმა: „საქართველოს უერთებ რუსეთს იმიტომ კი არა, რომ ადგილი მიუმატო რუსეთის იმპერიას, რო-

მელსაც ისედაც აუარებელი ადგილი უჭირავს, საქართველოს მიწა ჩვენთვის სრულებით საჭირო არ არისო; ჩვენ გვსურს, რომ დავამყაროთ საქართველოში სამართალი და ხალხის კეთილ-დღეობაო. ეს აღთქმა და დაპირება ყოველთვის მტკიცედ სრულდება და ამას ყველამ ყურადღება უნდა მიაქციოსო. რომ ხალხის მდგომარეობა გაუმჯობესდა და ცხოვრება კეთილად წარემართა, ამას ცხადად ამტკიცებს ეს გამოფენაო. საჭიროა რწმუნება, ნდობა და სიყვარულობა, თუ ეს არ არის, მაშინ საზოგადოების ცხოვრება არასოდეს კეთილად არ წარიმართებაო".

პარაკლისის გათავების შემდეგ, თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილმა წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

„წარსულს 1900 წელს 50 წელი შესრულდა, რაც დაარსებულია კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება. ამა საზოგადოებამ განიზრახა ეს დღე ედღესასწაულა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენის გამართვით და ეს გამოფენა გაემართა იმ ღირსშესამჩნევ წელიწადს, როდესაც ასი წელიწადი სრულდება საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ.

„ამ აზრს თანაგრძნობით მიეგება საზოგადოების პრეზიდენტი, თავადი მთავარ-მართებელი და ამიტომ შეუდგნენ გამოფენის წესებისა და პროგრამის შედგენას, რისთვისაც მოწვეულ იქმნენ ჟურნალ-გაზეთისა და თითქმის მთავრობის და საზოგადოებრივ დაწესებულებათა ყველა წარმომადგენელნი.

„რადგან წინად საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილებას ნება-დართული ჰქონდა 1901 წელს კავკასიის გამოფენა გაემართა, ამიტომ მიწათ-მოქმედების მინისტრმა და მთავარ-მართებელმა საჭიროდ სცნეს, რომ ისიც ამ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას შემოერთებოდა. შუამდგომლობა საზოგადოებისა, რომ გამოფენა მისს იმპერატორებითს უმაღლესობას დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს მიეღო თავის უავგუსტოესს მფარველობასა ქვეშე, შეწყნარებულ იქმნა მისის უმაღლესობის მიერ. წესები და პროგრამა გამოფენისა 10 მარტს ამა წლისას დამტკიცებულ იქმნა და ამ დროდგანვე შესაძლებელ შეიქმნა ხელი მიგვეყო საქმის განხორციელებისათვის. იმის წყალობით, რომ დიდის თანაგრძნობით მოეკიდნენ ყველანი გამოფენის გამართვის სურვილს, შესაძლებელი შეიქმნა ამ რთულ და დიდის საქმის მცირე ხანში განხორციელება. იმას გარდა, რომ ზნეობრივად გაგვიწიეს დახმარება, ქონებრივადაც ბევრი შეგვეწია: მიწად-მოქმედების სამინისტრომ 10,000 მან., ფინანსთა სამინისტრომ 5,500 მან., მთავარ-მართებელმა კავკასიისამ—6,000 მან., ქალაქ ტფილისმა 10,000 მ., ბაქომ—5,000 მან., ნავთის-მწარმოებელთა კრებამ —5,000 მ., საუფლისწულო უწყებამ 3,000 მან., მარგანეცის მწარმოებელთა კრებამ—1,000 მან., საკომერციო ბანკმა 1,000 მან. და სხვ.

„ეჭვი არ არის, მოწყალენო ხელმწიფენო, რომ მცირე ხანს, გამოფენის გასამართავად დარჩენილს, და ქონებრივ ნაკლებულობას არ შეიძლებოდა არ ემოქმედნა მისს სისრულე-ნაკლებულობაზედ, ხოლო რასაცა ჰხედავთ, იგიც გაგაოცებთ, იმდენად წარმარტება ჰქონია სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ვითარებას ჩვენის ქვეყნისას, რომელიც შედარებით ეხლახან იქმნა დამშვიდებულ, ქვეყნისას, რომლის მკვიდრნიც რამდენისამე საუკუნის განმავლობაში უკანასკნელ ორ-სამ ათიოდე წლამდე იძულებულნი იყვნენ ხელში იარაღით ევლოთ გუთანს უკან და თავისის სიცოცხლის უზრუნველ-საყოფელად თვისნი სადგომნი აღემართათ მთის წვერონიკებზედ, ან ჩაემალათ და ჩაეფლათ მიწაში.

«მიუკერძველი მიმომხილველი, რასაკვირველია, ჯეროვანად დააფასებს აწინდელს დღესასწაულს მშვიდობიან შრომისას. ჩვენ კი ჩვენის მხრივ აღვნიშნავთ: ეს დღესასწაული ნათლად გვიმოწმებს, რომ კეთილი ნაყოფი მოიტანა დედა-აზრმა სამართლიანობისამა და კანონიერობისამა, ამა ასის წლის წინად ნამოძღვრებმა ტახტის სიმაღლიდგან ამა ქვეყნის განსაგებად, ქვეყნისა, რომელიც ესოდენ მდიდარია თავისის ბუნებრივის და სამეურნეო ვითარებით.

«ქვეყნის მოქალაქობრივს განვითარებას გვაჩვენებს არამც თუ გამოფენის ყოველი განყოფილება და ყოველი გამოფენილი ნივთი, არამედ ისიც, რომ გამოფენის გამართვა განხორციელებულ იქმნა ასე მცირე ხანში.

«მაშ ვუსურვოთ, მოწყალენო ხელმწიფენო, წარმატება ამ გამოფენის აზრს, სახელდობრ, რომ მან გამოგვირკვიოს მეურნეობაში რაოდენ ვართ განვითარებულნი და პრაქტიკულად რა ღონისძიებანია საჭირო აწინდელ მეურნეობისა და მრეწველობის განკარგებისა და კეთილდღეობისათვის“.

სიტყვის დამთავრების შემდეგ მანვე წაიკითხა დეპეშები, რომელთა, შინაარსი აქავე მოგვყავს:

«მისმა იმპერატორებითმა უმაღლესობამ, დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ მომანდო გაუწყოთ გამოფენის გამმართველ მთავარ კომიტეტის გარდასაცემად, რომ, სამწუხაროდ, მისს იმპერატორებითს უმაღლესობას არ შეუძლიან ჰნახოს გამოფენა კურთხევის დღეს».

„გენერალ-ლეიტენანტი ბარანოვი“.

—

„მივესალმები კავკასიის გამოფენის გახსნას, რომელიც იმართება საიმდროოდ, როდესაც სრულდება ასი წელიწადი საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ. იმედი მაქვს, რომ ეს გამოფენა მოგვცემს სრულს სურათს კავკასიაში მეურნეობისა და მრეწველობის აწინდელ მდგომარეობისას და აგრეთვე სწორე გზას გვაჩვენებს, რომ ჯეროვანათ ვისარგებლოთ კავკასიის ბუნებრივ სიმდიდრით. ვეცდებით, თუ გარემოებამ ხელი შეგვიწყო, გამოფენა ალაგობრივ დავათვალიეროთ.

«მიწათ-მოქმედების მინისტრი ერმოლოვი».

—

„ვულოცავ კავკასიის საიმპერატორო-სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას კავკასიის გამოფენის გახსნას, რომელმაც ღირსეულად უნდა დააგვირგვინოს მისი ორმოცდა ათის წლის მოღვაწეობა ადგილობრივ სასოფლო-მეურნეობის სასარგებლოდ. მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ეს საზოგადოება ყოველთვის თავისს თანამშრომლად მიაჩნდა კავკასიის შესახებ მისაღებ ღონის-ძიებათა საქმეში. ვუსურვებ საზოგადოებას წარმატებას. დარწმუნებული ვარ, რომ გამოფენა დიდად შეუწყობს ხელს კავკასიის მრეწველობის განვითარებას.

მიწათ-მოქმედების სამინისტროს გამგე
გოფმეისტერი სტევენი“.

—

ამ დეპეშებში პირველი მიღებულია ბ. სულტან-კრიმ-გირეის სახელობაზედ, მეორე უგანათ. თავ. პ. ა. გრუზინსკისა და მესამე—კავკასიის მთავარ-მართებელის, გენერალ-ადიუტანტის გ. ს. გოლიცინის სახელობაზედ.

დეპეშათა წაკითხვის შემდეგ მთავარ-მართებელი კავკასიისა, თავ. გ. ს. გოლიცინი გამობრძანდა ეზოში და ხმა მაღლა გამოაცხადა, რომ გამოფენა დაწყებულიაო. აქ საერო საგალობელი იმღერა სამმა მგალობელთა ხოროომ—რუსულმა, ქართულმა და სომხურმა. ამავე დროს უკრავდა სამი ხოროო—მუსიკისა, ორი სამხედრო და ერთი ოპერისა. ქართულისა და სომხურის ხოროში მონაწილენი საერო ტანისამოსში იყვნენ მოწყობილნი. შემდეგ მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ, საქართველოს ექსარხოსმა ფლაბიანემ აიაზმა ასხურა მთელს გამოფენას. დასასრულ გამოფენის სასტუმრო ოთახში, სადაც დიასახლისობდა გამოფენის კომისარის მეუღლე კნეინა ლიდია ნიკოლოზის ასული ანდრონიკაშვილისა, მცირე საუზმეზედ მიწვეულ იქმნენ მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი და სხვანი წარჩინებულნი. საუზმის შემდეგ მთავარ-მართებელი წაბრძანდა გამოფენიდგან და ხალხმა დაიწყო გამოფენის დათვალიერება.

გამოფენაზედ მიწვეული ყოფილან 1400 საპატიო პირი, მაგრამ ძლიერ ცოტანი გამოცხადდენ.

ასე გაიხსნა კავკასიის სასოფლო-სამრეწველო საიუბილეო გამოფენა. არ ვიცით საფრანგეთის გამოფენის დათვალიერების ბრალია, თუ იმისიც, რომ სხვაგანაც ბევრი გვინახავს ამნაირი გამოფენა, ჩვენზედ ვერ მოახდინა კარგი შთაბეჭდილება ამ გამოფენამ. გამოფენის მოწყობილობა და შენობები სრულებით არ მოგვაგონებენ საქართველოს მხარეს, მხოლოდ ნაწარმოები ნივთები გიმტკიცებენ თქვენ, რომ ისინი აქ გაკეთებულნი არიან. ერთად ერთი სარაჯიშვილის პავილიონი წარმოგიდგენსთ კავკასიის ადგილს და მის დამთვალიერებელს უნებლიედ გაგიტაცებს კავკავის მთებისკენ. ჩვენის შეხედულებით, ზოგიერთის მხრით ათას რვაას ოთხმოცდა ცხრა წელში გამართული გამოფენა ამავე ადგილზედ თითქმის უმჯობესი იყო. ოთხმოცდა ცხრა წელში ამგვარი გამოფენის კურთხევა და გახსნა მეტის-მეტად შესანიშნავი იყო. მაგრამ მაშინდელ გამოფენას ერთი რამ აკლდა, რომელიც დღეს ამ გამოფენაზეა. აქ არის თეატრი

გამართული, მოწვეული არიან აქტიორები, მომღერალი და მოთამაშე ქალები, რომლებიც ეჭვი არ არის დიდ საზოგადოებას მიიზიდავენ...

შემდეგ ნომრებში ჩვენ ვეცდებით მოკლედ გავაცნოთ მკითხველთ ყველა პავილიონები. დღეს დღეობით ქუთაისის გუბერნიიდგან არაფერი შესანიშნავი, არაფერი მნიშვნელოვანი არა არის რა. არის გამოფენაზედ აქედგან გაგზავნილი ერთი დიდი კვახი, რომელიც მართლა ყველას აკვირვებს. ყოფილა გაგზავნილი მშვენიერი ყურძნები და ხილი, მაგრამ რადგან გამოფენის გახსნამ დაიგვიანა, დამპალან და აღარ არიან.

დეკ. დ. დამბაშიძე.

(გაგრძელება იქნება)

ორი უძთავრესი ცენტრი ქართველთა განათლებისა.

I.

იერუსალიმის მონასტერი.

ის მთის მწვერვალი, რომელიც დღეს მედიდურად გადმოსჩერებია ივერიის მონასტერს, ძველად იწოდებოდა „აფოთ“. ამ მწვერვალზე არაბებს ჰქონდათ ამართული კანდელი (მაიაკი). აი ამ ადგილზე დაბინავდნენ ქართველები პირველად 787 წ. კონსტანტინე დიდის და ირინეს მეფობის დროს*).

ისინი თავდაპირველად სცხოვრობდნენ ერთად. რომ მართლა ასეთს ძველს დროში ქართველი ბერები სცხოვრობდნენ ამ ადგილზე და ჰქონდათ კიდეც საკუთარი სავანე,—ეს ცხადათ მტკიცდება შემდეგის მწერლობითი საბუთებით, რომლებიც მოიპოვებიან ივერიის მონასტერში:

1) თეოფილე ხატმებრძოლის მეფობის პირველ წლებში (829), ნიკეიაში ერთმა კეთილშობილურმა ქვრივმა, დედამ ერთად-ერთი შვილისამ, წყალს გაატანა ღვთისმშობლის ხატი, რათა ხატმებრძოლთ არ შეურაცხეყოთ ეს სიწმინდე და თვისი შვილიც მოაშორა სამშობლოს—ის გაგზავნა მაკედონიაში. რამოდენიმე ხნის შემდეგ ეს უკანასკნელი დაბრუნდა ათონში და აქ, იერუსალიმის მონასტერში, ბერად შედგა. მისგან ივერიელებმა შეიტყვეს დედა და შვილის თავ-გადასავალი, ე. ი. ის, თუ ბერის დედა როგორ მოექცა ღვთის მშობლის ხატს[2]). როგორც მოგვითხრობენ ამ ხატის ზღვიდგან ამოყვანა წილად ერგო ქართველ ბერს გაბრიელს.

2) ივერიის მონასტრის იღუმენს იოანეს ხელმოწერილი აქვს იმ საქმის ქაღალდზე, რომელიც შეეხება მონასტრის ახლო-მახლო მიწების გამიჯნვას [3]).

965 წ. ათონში, წმ. ათანასეს ლავრის მახლობლად, დაესახლა შესანიშნავი ქართველი ბერი —იოანნე ივერიელი. მასთან ჩქარა მოვიდნენ მისი შვილი ექვთიმე და გამოჩენილი ქართველთ მხედართ-მთავარი თორნიკე, რომლებიც მოსვლისათანავე ბერად შედგნენ. სამივე ესენი მყუდროდ სცხოვრობდნენ ათონში 879 წლამდის. ამ წესლს კი, როგორც მოგვითხრობს ისტორია, საბერძნეთის მეფის ვასილის თხოვნით, თორნიკემ დროებით დასტოვა მონასტერი და გაილაშქრა ვარდა სკიპრას წინააღმდეგ, რომელიც მეფეს ტახტიდგან ჩამოგდებას უპირებდა. მან სახელოვანად აღასრულა მეფის მონდობილება: საშინლად დაამარცხა მტერი და დიდი სამხედრო ავლა-დიდებით დაბრუნდა ათონზე და კვლავ მყუდრო ბერულ ცხოვრებას დაუბრუნდა [4]). გაიარა რამოდენიმე ხანმა. ქართველობას ათონზე თანდათან ემატებოდა წევრები. ამ მიზეზით წინანდელ ლავრაში მათ ვიწროობა იგვრძნეს. მათმა უფროსმა იოანნე ივერიელმა გარდასწყვიტა აეშე-

*) იხ. „Первое Путешествіе въ Аѳонскіе монастыри и скиты въ 1845 г.“, ч. I, отд. 2. პორფირე უსპენსკისა.

[2]) იხ. „Краткая Груз. Церк. Исторія“—პ. იოსელიანისა, გვ. 61.

[3]) იხ. „Путешествіе...“ პ. უსპენსკისა.

[4]) ამ ფაქტს ამტკიცებენ ერთხმად ბერძნების და სომხების ისტორიკოსები (იხ. „Крат. Истор...“ პ. იოსელიანისა). ეს კითხვა საფუძვლიანად გარჩეული აქვს აკადემიკოს ბროსსეს.

ნებინა ქართველებისათვის დიდი და ვრცელი მონასტერი. ქართველების მოთხოვნილების და იოანნეს სურვილის განხორციელებას ხელს უწყობდა მაშინდელი გარემოებაც: რადგანაც მეფე ბასილი ძლიერ დავალიანებულად გრძნობდა თავს ათონის ქართველების წინაშე იმ შემწეობისათვის, რომელიც მას აღმოუჩინა მათმა თანამოძმემ—თორნიკემ, ის მზათ იყო აღესრულებინა მათი ყოველივე გულითადი სურვილი... ეს ერთი მეორეს მხრით ის ავლა-დიდება, რომელიც თორნიკეს ერგო წილად ვარდაზე გამარჯვების შემდეგ, შესამჩნევად უადვილებდა ქართველებს დიდი და ვრცელი მონასტრის აშენებას. ამ გარემოებებით ისარგებლა იოანნემ და მტკიცედ შეუდგა საზოგადო სურვილის განხორციელებას. თავდაპირველად ის გადასახლდა თვისის ნათესავებით ძველ ქართველთა მონასტერში—„ათოში“. 980 წელს კი იოანნემ გამოსთხოვა იმპერატორ ბასილს ორი ქართველ მონასტრების (ივერიის—კონსტანტინეპოლში და წმ. ფოკასი—ტრაპიზონდში) სამაგიეროდ შემდეგნი ბერძნების მონასტრები: ლეონტის—სოლუნში, იოანნესი—ერისსში და კლიმენტის—ათონში. ჩამოთვლილი მონასტრების მამულების შემოსავალი იოანნეს უნდოდა «აფოს» ქართველთა მონასტრის შესაწირად და ახალი ვრცელი ლავრის აღსაშენებლად[5]). განვლო დრომ. იოანნემ შესცვალა წინანდელი თავისი აზრი. მან თავი მიანება „აფოს“ მწვერვალზე აღშენებულ ქართველთა ძველს მონასტერს და ჩამოვიდა დაბლა ზღვის პირად, და აქ, იმ ადგილზე, რომელიც ქართველებს იმპერატორმა ბასილმა უბოძა, სახელდობ, წმ. კლიმენტოს მონასტერთან, დაიწყო ქართველთა ლავრის შენება. ამისათვის ამ ლავრას დიდხანს „კლიმენტოს« სახელს ეძახდნენ[6]). როგორც სჩანს ისტორიულ საბუთებიდგან ამ ლავრის აღშენებაში იოანნე და თორნიკესთან ერთად მხურვალე მონაწილეობას იღებდა ვიღაც ქართველი ვარასვაძე, რომელსაც ზოგიერთები თორნიკეს ძმად სთვლიან[7]).

985 წელს ქართველთა ლავრა თითქმის მზათ იყო. იმავე წელს, ქრისტეშობისთვეს, ათანასე ათონელმა—იოანნე ივერიელის მეგობარმა—უძღვნა მას „ხრისოული“ იმპერატორ ბასილისა, რომლითაც ლავრას უფლება ეძლეოდა ჰყოლოდა ზღვაში მავალი გემები[8]).

იოანნეს სიკვდილის შემდეგ (998), ლავრის წინამძღვრად იყო ექვთიმე, შვილი იოანნესი. ექვთიმემ დიდი და დაუვიწყარი ღვაწლი დასდო საქართველოს ეკლესიას საეკლესიო წიგნების თარგმანით ბერძნულ ენიდგან ქართულს ენაზე. გარდა ამისა ის თავგანწირულად იღწოდა ათონზე სხვა ასპარეზზედაც: სხვა-და-სხვა ადგილებზე აშენებდა ეკლესიებს, საავადმყოფოებს, მოხუცებულთათვის თავშესაფარს... გარდაიცვალა ექვთიმე 1028 წ. ქ. კონსტანტინოპოლში, სადაც წავიდა მონასტრის საქმეებისა გამო საშვამდგომლოდ.

ექვთიმეს შემდეგ წინამძღვრობდა მისი ძმისწული გიორგი პირველი. გიორგის წინამძღვრობის დროს იმპერატორ მიხეილ პაფლაგონელმა 1034 წ. თვისის „ხრისოულით“ დაუბრუნა ქართველებს „ათოს“, რომელიც წინედ მათ ეკუთვნოდა და რომელიც, გიორგის დაუდევრობით, სახელმწიფო ხაზინაში იყო შეტანილი. გიორგიმ გააგრძელა ექვთიმესაგან დაწყებული შრომა საეკლესიო წიგნებისა და აღაშენა სასწავლებელი ორმოც ქართველ ყრმათათვის.

გიორგი I შემდეგ წინამძღვრად იყო გიორგი III ოლთისელი. ისიც, როგორც მისი წინამოადგილენი, სთარგმნიდა წიგნებს...

1283 წ. იმპერატორ ანდრონიკემ თვისის „ხრისოულით“ დაუმტკიცა ივერიის ლავრას ყველა მამულები, რომლებიც მას ეკუთვნოდა სხვა-და-სხვა ადგილებში[9]).

1285 წ. ათონის ქართველებმა დიდი ტანჯვა-წვალება და შევიწროება გამოიარეს ლათინების ბარბაროსობის მიზეზით და იძულებულ გახდნენ გაქცეულიყვნენ. მათ მხოლოდ თან წაიღეს მონასტრის სიწმინდე—ღვთისმშობლის ხატი. ქართველე-

---

[5]) იხ. „Свѣдѣнія о памятникахъ грузинской старины въ Св. землѣ и Палестинѣ“—ალ. ცაგარლისა (Прав. Пал. Сбор., вып. 10, стр. 37—42).

[6]) იხ. „Замѣтки поклонника Св. Горы. Кіевъ, 1864 г.“ გვ. 65—ანტონინისა,

[7]) Cordanus, † II, p. 488 იხ. «Состояніе монашества“ въ Византіи съ пол. IX до XIII в.“ ივ. სოკოლოვისა, გვ. 230.

[8]) «Замѣтки поклон. Св. Горы», გვ. 62—ანტონინისა.

[9]) „Первое путеш. въ Аѳ. мон...“, ч. I. отд. II, стр. 159“ ბ. უსპენსკისა.

ბი კვლავ დაუბრუნდნენ თვისი მიტოვებულ მონასტერს მხოლოდ 1295 წ.

1310 წ. იმპერატორ მიხაილ კომნინოს პალეოლოღმა ხელ-ახლად დაუმტკიცა ქართველთა მონასტერს მამულები და უწოდა მას—„ღვთის-მშობლის მონასტერი". ასევე მოიქცა გიორგი კონდესტეფან-კალემეი [10]). ჯვაროსანთა ომების დროს ქართველთა მონასტერმა ბევრი რამ ცუდი გამოიარა მკაცრი და ბარბაროსი ლათინებისაგან, რომლებიც დაუზოგველად აოხრებდნენ მას. მაგალითად, 1260 წ. ლათინებმა მთლად გაცარცვეს ივერიის მონასტერი და მრავალი ბერებიც დახოცეს. როგორც გადმოგვცემენ, იმპერატორ მიხაილ პალეოლოღმა რამოდენიმე წლის შემდეგ მთლად აოხრა ეს მონასტერი იმისთვის, რომ მართლმორწმუნე და მტკიცე ბერებმა მონასტრისამ არ წაბაძეს წმ. ათანასეს ლავრას და არ მიიღეს უნია რომთან, რომელსაც პალეოლოღი და პატრიარხი ვეი ძალით აჩეჩებდათ მათ *).

მაგრამ მონასტერი დიდხანს არ იყო დაცარიელებული: ქართველი ბერები ისევ თანდათან იყრიდნენ აქ თავს. მხოლოდ მონასტრის ხელახლად აღყვავებას საუბედუროდ ხელი შეუშალა საბოლოოდ თათრების თავ-დასხმამ და აოხრებამ. ვიზანტიაც ამ დროს დაუძლურებული იყო და მონასტერმა დიდხანს ვერ მოახერხა წამოდგომა.

ასეთს ცუდსა და სამწუხარო მდგომარეობაში იყო მონასტერი 1500 წლამდის. მაშინ კი ზოგიერთი ქართველი ბერები გაემგზავრენ საქართველოში და ძლიერ მეფე გიორგი ბრწყინვალეს უამბეს ქართველთა ლავრის თავგადასავალი და ცხადად დაუსურათეს ახლანდელი უნუგეშო მდგომარეობა. მეფემ და მისმა შვილმა ქაიხოსრომ თანაგრძნობით მოისმინეს ბერების თხოვნა და აღმოუჩინეს მათ უხვი დახმარება. ბერები დაბრუნდნენ უკან და მეფისაგან ნაბოძარი ფულებით ჩქარა შეკეთებულ იქმნა მონასტერი. ამნაირად კვლავ აყვავდა ივერიის მონასტერი ისე, როგორც ექვთიმეს დროს! კვლავ გაჩაღდა აქ შრომა, მუშაობა! კვლავ შეუდგნენ ბერები მოღვაწეობას და სათნოებრივ ცხოვრებას!.. მაგრამ დიდხანს არ უსარგებლია მონასტერს ასეთი მყუდრო და შინაარსიანი ცხოვრებით. მე-XVI საუკ. მიწურულში, სათათრეთის მთავრობის გაუმაძღრობის და მყვლეფელობის მეოხებით, მონასტერი ხელახლად ჩავარდა ვალში და დაცარიელდებოდა მთლად, რომ ბერებს არ მიემართნათ თხოვნით ისევ საქართველოს მეფეებისადმი.

1592 წ. ივერიის მონასტრის ბერებმა კახეთის მეფეს ალექსანდრეს მიართვეს კლიტე და მონასტრის ხატი და სთხოვეს დახმარება. მეფემ მაშინათვე მისცა ბერებს 12000 მ. ათის წლის განმავლობაში ამ ფულით ქართველებმა გადაიხადეს თათრების ვალი [2]). საბოლოოდ ივერიის მონასტრის შეკეთება დამთავრდა 1674 წ. ასეთან მუხრან ბატონის საფასით [3]).

ივერიის მონასტერში შემდეგნი ღირსშესანიშნავნი ეკკლესიებია:

1) ყველაზედ ძველი და დიდი ღვთისმშობლის მიძინების ეკკლესია. აი ამ ეკკლესიას როგორ აგვიწერს წარსულ საუკუნის რუსის მოგზაური ბარსკი: «Храмъ этотъ зело изряденъ лепотою... и прочими церковными добротами паче лаврскаго и иныхъ многихъ упещренъ" [4]).

2) ღვთისმშობლის ეკკლესია, რომელიც ქართველთა მეფეების შეწირულებითაა აღშენებული.

3) იოანნე ნათლისმცემლის ეკკლესია...

სულ ერთად ივერიის მონასტერში თექვსმეტი ეკკლესია ითვლება [5])

ივერიის მონასტერს ძველს დროში ჰქონდა შესანიშნავი მდიდარი ბიბლიოთეკა. ამ ბიბლიოთეკიდგან დღემდის დარჩა მრავალი ძვირფასი გუჯრები, სიგელები და წიგნები მიუხედავათ იმისა, რომ ბერძნები მე-XVIII საუკ. დაწყებული (როდესაც

---

[10] ibidem.

*) „Письма съ Востока" (იხ. „Чтеніе любителей духовного просвѣщенія. кн. 17, ч. I). ა. ნ. მურავიოვისა.

[2]) იხ. „Журналъ Мин. Народ. Просвѣщ. 1843 г. т. 40»—სტატია აკადემიკოს ბროსესი: „О религіозно-нравственномъ состояніи Грузіи до XVII в.».

[3]) იხ. «Труды V археол. съѣзда въ Тифлисѣ 1881 г.».

[4]) „Странствованіе В. Г. Барскаго по Св. мѣстамъ съ 1723—1747 г. издан. 2»—გვ. 580.

[5]) «Краткая Истор. Груз. Цер.—გვ. 67 ᲗᲐ. იოსელიანისა.

მათ მონასტრისგან განაძევეს ქართველები) უდიერად ეპყრობოდნენ ქართველთა სიძველეს და სრულებით ყურადღებას არ აქცევდნენ დარჩენილ ძვირფას წიგნებს და გუჯრებს. აი სხვათა შორის ამ ბიბლიოთეკის შესახებ რას სწერს არხიმანდრიტი ანტონინი თვისს „Записки"-ებში: „Обозрѣніе Иверской библіотеки приготовило меня къ разбору древнихъ актовъ и грамотъ монастыря, весьма многочисленныхъ и весьма занимательныхъ по своему разнообразію и по своему, большею частію, глубокой древности". ივერიის მონასტერს აქვს მრავალი გუჯრები და საბუთები რომაელთა, რუსთა, სერბიელთა და ბერძენთა მეფეებისაგან. მათ შორის საყურადღებოა: ორი საბუთის ქალალდი („ხრისოულად" წოდებული) იოანნე კონტაკუზენისა (1241 წ.); სერბიელთა მეფისა (1306 წ.); იოანნე პალეოლოგისა (1357); მიხაილ დუკისა (1073); ანგელოზ კომნინი პალეოლოგისა (1200 წ.) და ანდრონიკისა (1184). რასაკვირველია, მონასტერს მრავალი გუჯრები აქვს ქართველთა მეფეთაგანაც[6]). ივერიის მონასტრის ხელნაწერები მოკლედ აღწერილი აქვს იმერეთის უკანასკნელ მეფის სოლომონ მეორის მოძღვარს მღვდელმონაზონ ილარიონს 1836 წ. [7]).

ივერიის მონასტერს დიდი ღვაწლი მიუძღვის საზოგადოდ ქართველებზე: აქ საბოლოოდ გადითარგმნა ყველა საეკკლესიო წიგნები და წმ. მამათა ნაწარმოებნი. ამ მონასტერში აღიზარდნენ შესანიშნავნი, ღრმად განათლებულნი და ნიჭიერნი ქართველნი მწერალნი: ღვთის-მეტყველნი, ისტორიკოსნი, ფილოსოფოსნი, პოეტიკოსნი. აქ იყო აღშენებული ქართველებისთვის უმაღლესი სკოლა, სადაც ნიჭიერნი ახალგაზდანი იღებდნენ ღრმა, საფუძვლიან და ყოველმხრივ განათლებას[8])...

ივ. ჯორჯაძე.

(შემდეგი იქნება)

[6]) „Крат. Ист.", გვ. 68—ბ. იოსელიანისა; „Странствованіе...", გვ. 593—ბარსკისა.

[7]) «Труды V арх. съѣз. въ Тиф. 1881 г.».

[8]) ვისაც სურს ვრცლად გაეცნოს ამ შესანიშნავ მონასტრის ისტორიას, ჩვენ შეგვიძლია მიუთითოთ შემდეგ წყაროებზე: გარდა ჩვენ მიერ ზემორე ნაჩვენებისა: საქართველოს ისტორია—ბაქრაძისა, გვ. 249—261: «Тифлисъ въ истор. отношеніи» ბ. იოსელიანისა, გვ. 345; „ქრონიკები..." თ. ჟორდანიასი 270—273; მისივე „ქრონიკები" II წ. 359, 420; „დავით აღმაშენებელი და მისი დრო"—ურბნელისა, გვ. 84; Журн. Мин. Народ. Просв.—т. 40 გვ. 140.

მართლმადიდებლობით—ქრისტეანებრივის საეკკლესიო საზოგადოებითის ღვთის მსახურების განმარტება.

მიზანი საეკკლესიო საზოგადოებრივის ღვთისმსახურებისა მდგომარეობს იმაში, რომ მლოცავ ქრისტეანის სული სხვა-და-სხვა სადიდებელ, სამადლობელ, საევედრებელ ლოცვებისა, საგალობლებისა და საკითხავების საშუალებით აღფრთოვანდეს ღვთისადმი, წარემართოს კეთილისადმი. ქრისტეანეს ღვთისმსახურების დროს უნდა დაებადოს აზრები, გრძნობები და სურვილები, შესაფერისი ამა თუ იმ ლოცვების შინაარსისა. როცა გალობენ ანუ კითხულობენ ღვთის სადიდებელ ლოცვებს, მაშინ ქრისტიანემ უნდა წარმოიდგინოს ღვთის უსაზღვრო სიდიადე, სისრულე-სიმშვენიერე, უნდა მოიგონოს მისი სიბრძნე, სახიერება და ყოვლისშემძლებელობა, ცხადყოფით აღბეჭდილნი ყოველს მის ქმნილებაზე, ყოველს მის მოქმედებაში,—და განიმსჭვალოს მისდამი ულრმესის კრძალვითა, პატივისცემითა და აქოს-ადიდოს სახელი მისი. როცა კითხულობენ სამადლობელ ლოცვებს, მაშინ ქრისტეანეს ჰმართებს მოიხსენოს ყოველივე სიკეთე, რაიცა ჰყო უფალმან კაცობრიობისათვის, თუ როგორ აამაღლა მან ადამიანის ბუნება ყოველთა ქმნილებათა წინაშე, მისცა მას თავისი ხატება-მგზავსება და სხვანი მაღალნი ნიჭნი, მისცა მას განსაკუთრებითი დანიშნულება, მიანიჭა მას ძალა-შეძლება მასთან შეერთებისა და მით საუკუნო, უცვლელ ბედნიერების მოპოებისა,—და იგრძნოს თვის სულის სიღრმეში ცხოველი სიყვარული და დაუცხრომლად მას მადლობდეს. როცა კითხულობენ საევედრებელ ლოცვებს, მაშინ მას ჯერაჩანს წარმოიდგინოს თვისი უღირსობა, მრავალ-ცოდვიანობა, უძლურება და შეევედროს უფალს, რომ მან არა დაუტეოს იგი მის ბოროტებისა გამო, არამედ შეიბრალოს იგი, როგორც სუსტი და ცთომილი შვილი, და მიანიჭოს მას ძალა ზნეობრივად ამაღლებისა, ბიწიერებათა დათრგუნვისა, სათნოებათა მოპოებისა და ამით ნეტარებისადმი მიღწევისა. ამნაირის ლოცვით ქრისტიანეს უნდა აღეძრას მტკიცე სურვილი ბოროტებისაგან განშორებისა და კეთილისადმი მიდრეკისა.

რომ საეკკლესიო ღვთის-მსახურებამ ადამიანის სულზე ასეთი ღრმა ზედგავლენა იქონიოს, ამისათვის, რასაკვირველია, მოითხოვება, რომ მას ნათლად ესმოდეს ყოველივე ისა, რაც საეკკლესიო მსახურთა მიერ წარმოითქმება, იკითხება და იგალობება; წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. თუ მსმენელისთვის გაუგებარი რჩება ის, რაც იკითხება და იგალობება, მაშინ მისთვის ღვთის-მსახურება უმნიშვნელო და უნაყოფოა, მასში წმიდა გრძნობები და აზრები არ წარმოიბოჭვის, მისი სული არ იწყებს აღმაფრენას უფლისადმი, და ღმერთიც მას არ უახლოვდება და არ აკმაყოფილებს მისს სულიერ და ხორციელ მოთხოვნილებებს. სამწუხაროდ, ახლანდელ მლოცველების უმრავლესობისათვის ღვთის-მსახურება მომეტებულად გაუგებარია. მას არ ესმის, თუ რა აზრია ამა თუ იმ ლოცვებსა, საკითხავებსა და საგალობლებში, მან აგრეთვე არ იცის, თუ რას მოასწავებენ საეკკლესიო მოქმედებანი. ეს ხდება, ერთის მხრით, იმის გამო, რომ ლოცვები და საგალობლები დაწერილია ძველის ენით, იმ ენით, რომელზედაც ჩვენი წინაპრები ამ თხუთმეტიოდე საუკუნის წინად ლაპარაკობდნენ და რომელიც თვის მრავალის სიტყვებითა და ფორმებით გაუგებარია; და მეორედ იმიტომ, რომ ბევრ საგალობლებსა და ლოცვებში აზრი ისე მოკლედ არის გამოხატული, რომ მათგან ახლანდელ ქრისტიანეს შესაფერი გრძნობები არ აღეძვრის. პირველ საუკუნოების ქრისტიანენი ისე გამტკიცებულნი იყვნენ ღვთაებრივს ცხოვრებაში, ისინი ისე იყვნენ აღნთებულნი უმაღლესის გრძნობებით, რომ ერთი სიტყვაც კი კმაროდა, რომ მათს გულში ნათელმოსილი სულიერი განწყობილება სწრაფად წარმოშობილიყო. ახლანდელი ქრისტიანები კი ისე არიან ცოდვებით დამძიმებულნი, ისე ღრმად არიან ჩაფლულნი ბიწიერებაში, რომ ორი-სამი სიტყვით მათი გონება არ აღიმართებ ღვთისადმი, და მათი გული არ მიიქცევის კეთილისადმი.

რადგ ჩვენ უფლება არა გვაქვს საეკკლესიო საკითხავებ და საგალობლები შევსცვალოთ, ე. ი. მათი ენა ა ილ-გასაგებ, თანამედროვე ლიტერატურულ ენაზე გადმოვაკეთოთ, და ზოგიერთნი წარმოთქმანი გავავრცელოთ სიტყვებით, — რომ უფრო ცხადს და გარკვეულ შინაარსს შეიცავდნენ, და ასე საეკკლესიო ხმარებაში შემოვიღოთ, — ამის გამო საჭიროა მღვდლებმა თვისს საუბრებში განუმარტონ ხალხს ღვთის-მსახურება, რათა უკანასკნელი იქნეს მისთვის მისახვედრი და ამან ხელი შეუწყოს მის სულის ზეაღსვლას, განათლიერებას.

ჩვენ არა ერთხელ გაგვიგონია ეგრედ წოდებულ უბრალო ხალხისაგან ჩივილი, რომ მათ ბევრი რამ არ ესმისთ ღვთის-მსახურებაში და კარგი იქნებოდა, რომ მღვდლები აუხსნიდენ მათ, თუ რას შეიცავენ თვის შორის საგალობლები და საკითხავები, და რას ნიშნავენ საეკკლესიო მოქმედებანი. ამიტომ ჩვენ განვიზრახეთ განვმარტოთ ღვთის-მსახურება, სახელდობრ, იმ საეკკლესიო სამსახურთა, რომელთაც ხალხი ხშირად ისმენს, ე. ი. მწუხრისა, ცისკრისა და წირვის. ამეებზე დაწვრილებით ვიტყვით, დანარჩენებს კი გაკვრით შევეხებით.

საჭიროდ ვრაცხთ შევნიშნოთ, რომ ჩვენ ეს პატარა შრომა გვინდა მივაწოდოთ უსწავლელ ხალხს და არა განათლებულ საზოგადოებას, ამიტომ მას მეცნიერული ხასიათი არ ექნება. შეძლებისადაგვარად, ვეცდებით სადად, მდაბიოდ და ნათლად ავხსნათ საეკკლესიო წარმოთქმანი, საგალობელნი, საკითხავნი, რომ ხალხს გაუადვილოთ გაგება ღვთის-მსახურებისა. იქნება რომელიმე ქართველმა, წერაკითხვის მცოდნემ და „მწყემსის“ მკითხველმა წაიკითხოს ეწ ბწკრები და რაიმე სარგებლობა გამოიტანოს.

კაჭახიძე.

(შემდეგი იქნება)

მეექვსე საბლაღოჩინო ოლქი ბორჩალოს მაზრაში.

ხშირად ჭეშმარიტების მამხილებელი ისჯება, მაგრამ უსაფუძვლო სასჯელი, რომელსაც დასაწყისში თავმოყვარეობა უძევს, არას ატკენს კაცს არც სულიერად და არც ხორციელად. ჩვენ წრფელის გულით, ღვთისადმი ლოცვა-ღაღადებით შევნატრით, რომ ამ XX საუკუნეში მაინც ყოველნი ჩვენი მოძმენნი იყვნენ უსრულესნი ყოველ საქმეში და არა „სიტყვით ქნარი და საქმით მკვდარი“, თორემ ჭამა და ძილი ხომ მამა-პაპიდან ჩვეულებად გვაქვს...

ღვთის მოსაწონად და კაცის სასიხარულოდ ჭეშმარიტებას ყველგან თავის ალაგი აქვს და უნდა ჰქონდეს კიდეც. ჩვენ ამას ვღაღადებთ და დეე მომავალის ჯილდოებისაგან უკან დავრჩეთ, ოღონდ ჩვენმა მოკლე აღწერამ გამოიწვიოს სასურველი ყურადღება მისი, ვისაც არსებული კანონების ძალით ხელში უჭირავს ჩვენი კეთილ დღეობის ბოხჩა. ბოხ ა—ცოდნა, მხნეობა, ძალი და კანონი ჩვენ უნდა მოგვხმარდეს, ვინემ დრო ითმენს, თორემ ჩვენ ვაჟ-ბატონებსაც ჰქონდათ კალმით აუწერელი მამულები, რომ ელხლა მრავალი მათგანი თავ-ჩაღუნულები დაიარებიან სომეხთა მდიდრების კანტორებთან ადგილების საშოვნელად.

მე სხვა წოდებასთან რა ხმა მიმიწვდება, მე სახეში მაქვს ჩვენი ყოველ-მხრიდან დაჩაგრული წოდება; ზოგიერთი «დიპლომ» მექონე სამღვდელო პირნი ისე არიან გახვეულნი თავმოყვარეობის აბლაბუდაში, რომ მათ მოძმეთ, თანამოსამსახურე უსწავლელ მღვდლებს, არ შეუძლიათ პირდაპირ ელაპარაკონ მათ. და თუ მიმართეს მათ, იგინი ისე თვალის ჭუტით დაუწყებენ ყურებას, ვითომ არც კი იცნობდნენ; ავიწყდებათ, რომ ორივე პირთა კრებას აცვია ანაფორები და ქრისტეს მიერ შეადგენენ ერთ მის მოსამსახურეთა წრეს.

ვფიცავ ჩემს ობოლ სამშობლოს, რომ დღეს მრავალი უსწავლელი მღვდელი სჯობია სიმხნით, გამჭრიახობით ბევრს სემინარიაში კურს დამთავრებულ მღვდლებს, მაგრამ ჩვეულებისამებრ ახლაც თითებ შუა გავყურებთ მათ, თუმცა ჩვენს ცხოვრებაში მიგვიძღვის მეოცე საუკუნე. ავიღოთ ცოტად განათლებული, გულით და სულით მოწადინებული მღვდელი, რომელსაც სიყმაწვილიდან ჰქონია სურვილი მღვდლობისა და სემინარიელი, რომელსაც ფრიად ეზარებოდა ტომრებით და ჩანახით სიარული პურის მოკრეფის დროს, ანუ რცხვენოდა და, რომ ჩარა გაუწყდა და ვერ იშოვა სხვა სამსახური — წავიდა მღვდლად. მე ორივე მხრიდან მყავს ამხანაგები და გამიზომავს ერთის ქცევაც და მეორესიც. ეს ხომ ნამდვილი ფაქტია, რომ სემინარიელი, რომელიც კარგად ამთავრებს სწავლას და ჭკუით და გონებით გახსნილია, არ მიდის მღვდლად. *)

მე განათლებული ძმა, თანამოსამსახურე ქრისტეს მიერ, მისთვის მინდა, რომ ან სამშობლოსათვის, ან მისდამი რწმუნებულ ხალხისათვის, ან სამღვდელოებისათვის რაიმე კეთილი გააკეთოს, იმხნეოს, თორემ „სათვალეები“ და ცაში რამდენი ვარსკვლავია, მათგან რომელი დიდია და რომელი პატარა, ეს სამღვდელო ცხოვრებაში სრულიად ფუჭია.

წირვა-ლოცვა კარგია, მაგრამ მარტო ამისთვის არ ვართ. თუ ხელები დაბმული გვაქვს, ჭკვა-გონებას რაღათ ვაბამთ, კანონიც და ნებაც სრული, მაშ გვარგებს ახლა ძილი, რომ სახელიც აღმოგვიფხვრან ლამის „მსოფლიო მატყუარებმა“? აი მესამე წელიწადია, რაც რატევნის ეკლესიის შესახებ, რომელიც სომხების ხელშია დღესაც, აღვძარით კითხვა, მაგრამ—ეს ემდურის მეორეს, ამას არა სცალიან, ის ამბობს: «სხვათა ჭირი ღობეს ჩხირია» და საქმე დღესაც მწვანე მაუდის ქვეშ ძევს... უცადოთ პასუხს! სომხებმა კი მესამე აკაურთის ეკლესიას მიჰყვეს ხელი. ჰო, რაც უნდა გაკეთდეს დღეს, ჩვენ ვსდებთ ხვალისათვის, იმიტომ კიდეც აგვიშენდა ოჯახი!..

თიბათვის 30 იყო, რომ ქ. თბილისიდამ ქვეშის სამრევლოში წამოველი. დილიჯანში ექვსი

*) იხ. „მწყემსი“ № 15. 1901 წ.

*) ჩვენ არ ვეთანხმებით ავტორს ამ მოსაზრებაში. თუ ვისმეს მღვდლობის სამსახური სათაკილოდ მიაჩნია, ეს ამ კაცის გონება გახსნილობას კი არ ამტკიცებს, არამედ განუვითარებლობას. რედ.

სირაჯი რუმბებისავით დაწყობილიყვნენ. ისეთი პოლიტიკური ლაპარაკი შექნეს, რომ მე, როგორც ქართველს, დამეძინა. არახლოს ხიდზე რომ მოვველით, ხიდის ხმაურობამ გამომღვიძა და შემომესმა ქართული ლაპარაკი: „ვა მუნდრეკს სულ ძინავს“. მე გავნაბე სული, თვალები დავხუჭე— ზვერაობისათვის ბოდიშს ვიხდი, მამა დავითმა სეფისკვრები დაიტაცა საკურთხეველიდან, რომ შიოდა. მეც ისეთი საინტერესო სიტყვები გავიგე, რომ ტოლსტოი ქართველი ყოფილიყო, ეხლანდელ ბაქი-ბუქს თავს დაანებებდა და ისიც ყურს დაუგდებდა. ამისთანა შემთხვევაში შეუძლია მოითმინოს იმ კაცმა, რომელსაც ჯერეთ კიდევ არ გაჰქრობია ის სუბოლო პაწაწა-ღა ნაპერწკალი სამშობლოს სიყვარულისა, რომელიც ძალა-უნებურად ედებათ სიყმაწვილიდან გულში?

—ჩემა მზემ,—დაიწყო ბებერმა სირაჯმა— ცოცხლები არიან, მაგრამ სძინავთ, მე მარტოდ არა ვლაპარაკობ მაგათ კნაზებზე, ეგ ტერტერებიც ახირებული გულიჩვილები არიან და! შენ ოლონდ გენაცვალე, შენი ქირიმე უთხარ, თორემ გინდა ეკლესია წაართვი, თავს მოგაშორებს. აი ჩვენი რატევნის ეკლესიაც ეგრე არ იყო, მუნდრეკ ქართველები თითონვე ვამუშავეთ მის შეკეთებაზე და ვეუბნებოდით თქვენთვის ვშრომობთო. ტყაპუჭს ძალიან ესმის ეკლესია ჰაიოსის წესზე კეთდება თუ ქართველობისა?..

—მახლას, ეგ ეკლესია ღვთისაა—დაიწყო მეორემ—მაგრამ აიღე ეს კნაზები? მამულები რო დაათავეს და დაყიდეს სარქისჯან, ახლა ეკლესიებს აღარ უგდებენ ყურს. ბემურაზი ვიყო, თუ ერთი ოცი წლის მერე ახალი ეჩმიაწინი აქ არ გაიმართოს. აქ რომ მოურავად ვიყავ, ჩემი კნაზი ოთხ წელიწადში ერთხელაც არ ამოვიდოდა და ახლა ძალიან მედარდება მამული ეყიდება თუ დედული? ტო! მუნდრეკ, შენც პურს სჭამ მეც, გაიღვიძე, გაცოცხლდი, თუ არა და ცოცხალი მაინც ჩაწექ მიწაში და! რაღა ეს, რაღა ის, ქართველების სიცოცხლე ნამდვილი მსოფლიო თეატრია. რას ვშვრებით ხოლმე პატარა ბოლნისში, საცა 35 კომლი ქართველია. იქ მწ. გიორგის ეკლესია დავიჩემეთ, დღეს ხვალ და ვაკურთხეთ, ღმერთმა აცოცხლოს ჩვენი ბაინდუროვი, მან სახლებიც ააშენა საეკლესიო მლოცველთათვის და გიორგობას (10 Ноября) ასეთი ამბავი გვაქ, რომ ჰა! ვინ არი პატრონი, ერთი გვითხრას: ტო ეშმაკის ფეხებო, თქვენ კალენდარში ათ გიორგობას არც გიორგი იხსენება არც გეურქა და რადგან ეკლესიაც ძველადვე წმ. გიორგის სახელობაზე აშენებულია ქართველთაგან ხატობაც ამიტომ ხდება აქაო, რის გამო თვით სოფელსაც ჰქვიან ხატის სოფელიო და წაგვართვასო. საქმე, ახპერჯან, იმაშია, რომ დღესაც არიან ქართველები იქვე მცხოვრები, რომელნიც მოსწრებიან ამ ეკლესიის სომხურად გადაკეთებისა, მაგრამ უსაპნო ურმისავით რომ ჭრაჭიჭრუჭ არ მოჰყვნენ ჩვენ ვიცით წამალი „აი ესენც აი პარონ!“ ერთი ვიღაც ბებერი ღვდელია ქართველი, იმან თავის დაფანტულ პრიხოდს მოუაროს, თუ ჩვენ ეშმაკობას, თურმე მაგათშიც ისე ყოფილა რო უგოძაკლოთ (ბლაღოჩინია) როგორც რუსები იტყვიან: „ни шагу“ გინდ იხეთქოს თავი, რას იზავს?—ეს რო დაათავა, ერთმა გააჩუმა სიტყვებით: «ტო მუნდრეკ, მუნჩაკაც, იქნებ ვრაცეა» ის იყო და ის კოლომკამდინ ხმა არ ამოუღიათ, რომ დილიჯნიდან ჩამოველით, ვინაობა იკითხეს. მე პირდაპირ უთხარ, რომ აქაური ახლად დანიშნული მღვდელი ვიყავ. იმ დღიდან აღარ მინახავს ისინი, მათი ნალაპარაკი კი სრულიად სიმართლე გამოდგა.

აი ეს ამბავია ჩვენ შორის, მკითხველო, რომ გაიჭერაობა არ მეხმარა ჩემ თავათ, ისე გვეკარგებოდა წმ. გიორგის ეკლესია, როგორადაც ტფილისის ეხლანდელი ვანქის სობორო. 10 გიორგობის, ამ ზემოხსენებულ ეკლესიას შემოაქვს ერთ დღეს ორას თუმნამდე მეტი. ამ ეკლესიის საქმე დღეს მათ უსამღვდელოესობას ეპისკოპოზს კირიონს აქვს დავალებული. აქ ამ ხატის სოფელში სხვა პატარა ეკლესიაა აშენებული ძველად როსტომ მეფის და მარიამ დედუფლისაგან თავიანთი შვილის გედალის სულის საცხოვნებლად, როგორც სჩანს წარწერიდან. ეს ეკლესია სდგას ერთი მთის ძირში, იყო უგალავნოთ ლ უსამრეკლოთ. ბევრი ვეცადე, მაგრამ ჩემმა სიტყვამ არ გასჭრა ხალხთა შორის, რომ ეკლესიისთვის ყურადღება მიექციათ. ჩემი ხმა მაინც არ დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. აღმოჩნდა ვინმე ბასილაშვილი, რომელმაც მოიწადინა აგება სამრეველო გალავნისა ეკლესიის გარეშემო. ესე გავგზავნე არქიელთან,

ზედ ბლაღოჩინს უკან გამოეგზავნა და დაეწერა: «Прежде всего составить приговоръ отъ имени мѣстныхъ, сельчанъ и состовить комитетъ. благ...“ მე მივწერე, რომ რადგან ერთი ვინმე პირი აშენებს სამრეკლოსა და გალავანს, არ უნდა ამაზე პრიგოვორი და კომიტეტი, გთხოვთ იშუამდგომლოთ და ნებართვა გამოგვიტანოთ მღვდელ-მთავრისა-მეთქი, მაგრამ აი ორი თვეა, რაც სამრეკლო და გალავანი მზათ არის და არც ნებართვა მოგვსვლია, არც არა სხვა პასუხს გვაძლევს მ. ბლაღოჩინი. თუმცა პატივცემულმა ბ. ბასილაშვილმა ორას თუმნამდე დახარჯა. მე ვამბობ ყოველ თავის ზომით როგორც ხედავს მკითხველი, რადგან ჯერეთ XX საუკუნე ჩვენ 6 საბლაღოჩინო ოლქისათვის არ დამდგარა—ეხლა ეს კმარა, და, ოდეს ღვთის შეწევნით მოვესწრებით მას, რომ აღარც ეკლესიები დაგვრჩება და რაც გვაქვს, იმასაც წაგვართმევენ, მერე საქართველოს ისტორიასავით, ერთ ხმად შეუდგებით ბორჩალოს ეკლესიების ისტორიის აღწერას.

მდ. ს. ბაიდაშვილი.

(გაგრძელება იქნება).

«ᲛᲬᲧᲔᲛᲡᲘᲡ» ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ.

კუდარის ხეობა (რაჭის მაზრაშია). დაბა ონიდან აღმოსავლეთისაკენ ოც-და-ათი ვერსის დაშორებით მდებარეობს ერთი განკერძოვებული ვიწრო ხეობა, რომელსაც კუდაროს ხეობას ეძახიან. ამ ხეობაში სცხოვრობენ ოსები. კუდაროს ხეობაში თხუთმეტი სოფელია, რომლებშიაც 340 კომლზედ მეტი მცხოვრებია. აქაურმა ოსებმა ოსურს გარდა ქართულიც ბევრმა იცის; ყველა მცხოვრებნი მართლმადიდებელის სარწმუნოებისანი არიან. ამ ხეობას მდინარე ჯეჯორა ჰყოფს ორ ნაწილად. მდინარე ჯეჯორა გამოჰქუხს ამ ხეობის ერთს მთის გორიდგან და ერთვის მდინარე რიონს დ. ონის მახლობლად. ჯეჯორის ორივე ნაპირებზე სცხოვრობენ ოსები. ერთ ხეობას ქვიან ჯაჭნარის ხეობა, ხოლო მეორეს ზამთარეთისა. ოსები მისდევენ მიწის მუშაობას, მაგრამ ადგილის სიმკირე, ჭინახულის მოუსავლობა და ხეირიანი გზების უმექონებლობა ნამეტან შეწუხებას აძლევს საწყალ ოსებს. წასულს 1898 და 1899 წლებში აქაურმა ოსებმა განიზრახეს ამ ხეობიდგან გადასახლება და კიდეც შეუდგნენ ამ განზრახვის სისრულეში მოყვანას. თელავის მაზრაში იყიდეს მათ ადგილები და 40 კომლი კიდეც გადაესახლა. ეს გადასახლებულნი ხშირად მოდიან ხოლმე კუდაროში სალოცავად. ჩემს კითხვაზე თუ როგორ ცხოვრებენ ისინი ახლად შეძენილს მიწა-წყალზე, ასე მიპასუხებენ ხოლმე: „მამაო! თუმცა ძნელია თავისი სამშობლოს დატოვება, მამა-პაპის დატოვებული ადგილების გაყიდვა, მეზობლების და მოკეთეების მოშორება, თავისი სალოცავების მიტოვება, მაგრამ რა უყოთ, იკურთხოს ის დღე, რა დღესაც ჩვენ კუდაროს მოვშორდით, ახალ მიწა-წყალზე ჭინახულიც ბევრი მოგვდის, პირუტყვებიც ბევრი გავიჩინეთ და კახელებსაც კარგად შევეწყვეთ; მადლობას ვსწირავთ უფალსა, რომ მან აგვაცილა თავიდან მრავალი ტანჯვა-წვალება“. როგორც ზემოთაც მოვიხსენიეთ, კუდაროს ოსები ყველანი მართლმადიდებელი ქრისტიანენი არიან. დღემდის მათ ჰქონდათ ერთი ეკლესია, დღეს კი აქ ორი ეკლესიაა. თითოეულს ეკლესიაზე თითო მღვდელი და მედავითნეა. მღვდლების წყალობით, ამ ხეობაშიდ მრავალი საზიზღარი ჩვეულება მოსპობილა. ოსებს საზიზღარ მოქმედებათ მიაჩნდათ: ჯვრის წერით შეუღლება, (რის გამო დღესაც ბევრია ჯვარ დაუწერელი), აღსარების თქმა და ზიარება წმ. საიდუმლოთი, მკირედ სწამთ ჯვარი და სახარება, ეზარებათ ქალების ეკლესიაზე სიარული. მაგრამ ეს არა ქრისტიანული ზნე-ჩვეულება ოსებში თანდათან ისპობა. თუმცა აქაური ხალხი ღარიბია, მაგრამ უცხო კაცი თუ ეწვია ოსს, დიდ პატივსა სცემს, არას დაიშურებს, თუ კი რამ გააჩნია, სულით და გულით მიიღებს სტუმარს და გაუმასპინძლდება შეძლებისადაგვარად. პირველი ეკლესია არის აშენებული სოფელს ჩასავალში 1819 წელს სახელმწიფო ხარჯით და ეკლესიის კრებულს ინახავს კავკასიაში მართლ-მადიდებელი სარწმუნოების აღმადგინებელი საზოგადოება; ეკლესია არის ქვისა, უპრალო გეგმით აგებული. ხალხი კუდაროს ხეობისა, სიშორის გამო, მოკლებული იყო წირვა-ლოცვას. დიდს განსაცდელსა და გაჭირვებაშია აქაური

მღვდელი ზამთარში, როცა დიდი თოვლისა და ქარების გამო გზა იკვრის. სამწყსოს დაძ.ხილზე უსათუოდ უნდა წავიდეს მღვდელი და აუსრულოს რომელიმე მღვდელ-მოქმედება. 1890 წელს განსვენებულმა ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა მღვდლად აკურთხა გორის სემინარიაში კურს დამთავრებული ერთი პირი. მოვიდა თუ არა ეს მღვდელი კუდაროს ხეობაში, იგი მაშინვე შეუდგა ამ ხეობაში მეორე შტატის ეკკლესიის გახსნას და მისი თხოვნა შეწყნარებულ იქმნა უმაღლესი სასულიერო მთავრობისაგან. კუდაროში მრავალი ძველი ეკკლესიებია, მათში შესანიშნავია ხუთი სოფელ კობიეთაში, რომლის შენობა წასულს წელში დასრულდა და წელს აკურთხეს. ქვემობოჟაში, ჩასავალში, ნადარბაზევში და ქასაგინაში. ყველა ესენი, როგორც მოთხრეს მოხუცებულმა პირებმა, თამარ მეფის ბრძანებით ყოფილან აშენებულნი მშვენიერს და უძვირფასეს გეგმაზე. ამ ეკკლესიებში უმეტესს ყურადღებას იქცევდა ს. კობიეთის ნანგრევი ეკკლესია. ამ ეკკლესიაზე უხსოვარის დროიდან მრავალი ხალხი დაიარებოდა სალოცავად. ეკკლესიის შენობა მთლად მიწაში იყო დამალული, სხვა-და-სხვა გვარის დიდი ხეები ამოსულიყვნენ შიგ ეკკლესიაში, კედლები არა ჩანდა, მხოლოდ აღმოსავლეთის მხრით ნახევარი ფანჯარა სჩნდა; ხალხი ამ ფანჯრებიდან ძვრებოდა და ისე ანთებდა სანთლებს უბრალო ქვების წინ. ერთმა ოსმა, სახელად გარსო ძუსოშვილმა, ჩვენება ნახა, მივიდა მღ. ე. მაი—ძესთან და განუცხადა, რომ უსათუოდ კობიეთის ნანგრევი ძველი ეკკლესია უნდა გავსწმინდო, მისთანა სიზმარი ვნახე, რომ იქ ჯვრები იქნება და სხვა რაიმე ნივთებიც, იგი ეკკლესია უსათუოდ აღშენდება, თუ შენ ეცდებიო. მართლაც ეს ოსი შეუდგა ამ კეთილს საქმეს და გასწმინდა ეკკლესია, იპოვნა შიგ ორი დიდი ვერცხლის ჯვარი, ერთი წმ. გიორგის ხატი, ჩაჩქანი და მრავალი სხვა და-სხვა წვრილი ნივთები, რომლებიც პოლიციამ წარუდგინა სასულიერო მთავრობას და ისევ უკან დააბრუნეს. ამის შემდეგ ადგილობრივმა ბლ. დეკანოზმა ალექსი გიორგობიანმა მიანდო მღვდელ მაი—ძეს კუდაროს ხეობის და ახლად გაწმენდილი კობიეთის ნანგრევი ეკკლესიის აღწერა. ეს აწერილობა ბლაღოჩინმა წარუდგინა ნეტარხსენებულს ეპისკოპოსს გაბრიელს, რომელმაც ითხოვა, სადაც ჯერ იყო ეკკლესიის აღშენება წირვა-ლოცვას მოკლებულ ხალხში. ერთმა მოსკოველმა მდიდარმა ქალმა შემოსწირა 3000 მანეთი კობიეთის ეკკლესიის აღსაშენებლად, მაგრამ, რადგან ამ ფულებმა არ იკმარა, ამიტომ კავკასიაში მართლ-მადიდებელი სარწმუნოების აღმადგინებელმა სასოგადოებამ დაუმატა ამ ფულებს 1817 მანეთი და აშენდა მშვენიერი ეკკლესია. 1900 წელს აქ მობრძანდა ბ. ევტიხი მამინეიშვილი ახლად აშენებული ეკკლესიის შესამოწმებლად. ბ. მამინეიშვილმა სთხოვა დეკანოზს მ. ა. გიორგობიანს, რომ იგი შედგომოდა ადგილობითი მღვდლის დახმარებით ამ ახალ ეკკლესიასთან საკრებულო სახლის აღშენებას და თვითონაც ალუთქვა დახმარება. მართლაც, სულ ცოტა ხანში გაკეთდა საკრებულო სახლი ოსებში მოკრებილი ფულით. ამ საქმეში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ახლად ნაკურთხმა მღვდელმა ლავ. ლანდიამ.

ყოვლად უსამღვდელოესის იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდის ლოცვა-კურთხევით 28 იანვარს, ამა წლისა აკურთხეს ახლად აშენებული კობიეთის ეკკლესია, მთავარ-ანგელოსთა გაბრიელ და მიხეილის სახელზედ. ეკკლესია აკურთხა დეკანოზმა ალ. გიორგობიანმა ადგილობრივი მღვდლების თანამსახურებით. წირვის გათავების შემდეგ მამა დეკანოზმა მიმართა იქ დამსწრე ხალხს სიტყვით, რომელშიაც განუმარტა მლოცველთ, თუ როგორ ცდილობს მთავრობა მათთვის და აშენებს ეკკლესიებს, უგზავნის მღვდლებს, რომელთაც უნიშნავს ჯამაგირს ხაზინიდან, მთავრობა ცდილობს აღადგინოს ოსებში ჭეშმარიტი ქრისტიანობა, მთავრობა ცდილობს, რომ თქვენ გაუნათლებელმა მთის ხალხმა სწავლა მიიღოთ და სწავლის საშუალებით შეიგნოთ ჭეშმარიტი ქრისტეს სარწმუნოება, გაიგოთ რა არის კეთილი და რა არის ბოროტი, დასტოვოთ თქვენი ცუდი საქციელი, ზნე-ჩვეულება, რომელიც თქვენს პატიოსან სახელსა სტეხს, ამისათვის აარსებს სკოლებს, რათა შვილთა თქვენთა და მომავალთა შეიგნონ ქრისტიანობა და თავისი მოვალეობა. თქვენ შესაწირათ ხოცავთ ბევრ წვრილ და მსხვილფეხ ცხოველებს, ამით თქვენ დიდ ზარალს აძლევთ თქვენს ნივთიერ ცხოვრებას. ეს მსხვერპლი საჭირო არ არის, თუ გინდათ, რომ თქვენ იყოთ ნამდვილი ქრისტიანენი, უნდა დაიარებოდეთ ეკკლესიაში, ეეედრებოდეთ ღმერთსა და ისმენდეთ საღმრთო წე-

რილის სიტყვებსა, აგრეთვე ვალდებულ ხართ თქვენი ქალები და შვილები მიაჩვიოთ ეკკლესიაში სიარულს». შემდეგ მ. დეკანოზმა განუმარტა ოსებს, თუ რა არის ეკკლესია, როგორ უნდა დაიარებოდეს კაცი ეკკლესიაში და ემსახურებოდეს ღმერთსა. მ. დეკანოზის სიტყვებს ოსებს უთარგმნიდა ოსურს ენაზედ ადგილობრივი მღვდელი ექ. მაისურაძე, რომელიც მსახურებს ამ ხეობაში 11 წელიწადი და ისე კარგათ შეისწავლა ოსური ენა, რომ ამ ენაზე თავისუფლად ესაუბრება მრევლს.

კუდაროს კომმისიის მღ. ექ. მაი—ძე.

წერილი რედაქციისადმი

(კიევიდგან).

თუ საზოგადოთ სასურველია განათლებული და შეგნებული სამღვდელოება, რომელსაც პირდაპირი კავშირი და დამოკიდებულება აქვს დაბალს ხალხთან, უფრო ჩვენი ქვეყნისთვის, სადაც სკოლების რიცხვის სიმცირის გამო ხალხი მოკლებულია საშუალებას გამოვიდეს ცრუ-მორწმუნეობის და, საზოგადოთ, უმეცრების მორევიდგან, რომელშიც ის დღეს ცურავს. სასურველია იმიტომ, რომ იმას შეუძლია მიაწოდოს თავისს სამწყოს გონებრივი და ზნეობრივი საზრდო, ცოტათ თუ ბევრად შეაგნებიოს მას მისი ეროვნული ვინაობა, რაც დღეს ჩვენთვის მეტად საჭიროა, და ამნაირად რამოდენიმედ გაუწიოს მას სკოლის მაგიერობა. ამიტომ სასიხარულოდ უნდა მიაჩნდეს ყველას ის მოვლენა, რომ ჩვენი ქართული საეკკლესიო კრებული თანდა-თან ივსება ასეთი სასურველი წევრებით.

ამ მხრით საჭიროთა ვრაცხ ვაცნობო მკითხველს ერთი სასიამოვნო ამბავი: წელს კიევის სასულიერო აკადემიაში მიღებულ იქმნა ერთი დამქვრივებული ქართველი მღვდელი—ნესტორ ლეჟავა. მიმდინარე წლის დამდეგს ის დაქვრივდა, და ამ გარემოებამ ის დააყენა იმ გზაზე, რომელმაც ის დღეს კიევის სასულიერო აკადემიაში მოიყვანა.

ვისურვებთ ჩვენის მხრით, რომ მ. ლეჟავას თავისი მიზნისადმი მიეღწიოს.

ბ. ბ.

ოც-და-ათი წელიწადია აქა ვარ და დავრწმუნდი, რომ წესიერების დამყარება აქ ვერ შეიძლება.

ორჯერ-სამჯერ საჭიროდ ვსცანი საერთავარი ჩამეწერა ქუთაისის რკინის გზის სადგურის საჩივარ წიგნში უწესოებათა გამო გელათობას. ხშირი შემთხვევა ყოფილა, რომ უბილეთო ხალხით ვაგონები სავსე იყო და ბილეთებიანი კი რჩებოდენ ან და ფეხზე იდგნენ. ერთ ვაგონში ხშირად ას კაცზე მეტი იყო და მოგზაურები ილრჩობოდენ შეხუთულ ჰაერში. არ იქნა ამ უწესოებათა მოსპობა. ამ წელში ხსენებულ სადგურზე მატარებლის წასვლის წინეთ ვკითხე ერთ კონტროლერს:

—არის რაიმე ზომები მიღებული ამ წელს იმ უწესოებათა წინააღმდეგ, რომელნიც წინეთ ნიადაგ ხდებოდა აქ, თუ ისევ ძველებურად უნდა დაგვამტვრიონ გვერდები ვაგონებში შესვლის დროს და თითო ვაგონში დადებულ რიცხვზე ოთხჯერ მეტი წამსვლელები იქნებიან?

იქვე გვერდით მჯდომი, შორეული სადგურის ვილაც უმფროსი წამოდგა და გვითხრა: „მამაო, მე ოც-და-ათი წელიწადია ამ მხარეში ვმსახურებ, მაგრამ წესის დამყარება აქაურ ხალხში არ შეიძლება. ხომ ხედავთ, ყველას ხანჯლები აქვს და თუ უთხარი რამე, ამ წუთისოფელს გამოგათხოვებენ“...

—სრულებით არა,—უთხარით ჩვენ,—სრულებით მოტყუებული ხართ თქვენს მსჯელობაში. ოც-და-ათი წელიწადი კი არა, სამოციც რომ იმსახუროთ, მაშინაც ვერას გაიგებთ, თუ წესის დამყარების არა გესმისთ რა. თქვენ რომ თქვენი მოვალეობის არა იცოდეთ რა, რა შუაშია ხმლები და ხანჯლები, ვისაც უნდა ეკიდოს ესენი? აქვსთ თუ არა ნაბრძანები კასირებს, რომ ადგილებზე მეტი არ გაჰყიდონ ბილეთები?

—აქვსთ,—მომიგო მან.

წავედი და ვკითხე კასირს. კასირმა მომიგო: „ჩემთვის არავის არა უთქვამს რა ბილეთები იმდენი გაყიდე, რამდენიც ადგილია და მეტს ნუ გაყიდო“. მივბრუნდი და უთხარი ეს სადგურის უმფროსს კონტროლერს და იმას, რომელიც ოც-და-ათი წელიწადია მსახურებს და თავის მოვალეობა კი არ ცოდნია. მაშინ ამ ბატონებმა იკადრეს და

თქვეს, რომ ეგ ჩვენი საქმე არ არისო. ეს ჟანდარმების უმფროსის საქმეაო. ამ დროს მოვიდა ჟანდარმის ოფიცერი გამრეკლიძე, რომელსაც განუცხადე ყოველივე ეს და უთხარი, თუ როგორ შეიძლება წესიერების დაცვა ამისთანა შემთხვევაში მეთქი. მან მომიგო: „მე განზრახული მაქვს ეს წესები და დარწმუნდით ყველას ავასრულებ და იმ უწესოებას ვერ ნახავთ, რაც წინეთ გინახავთო. მართლაც მაშინვე მოახდინა განკარგულება, რომ ბილეთები მეტი არ გაეყიდნათ და ზალიდან უბილეთოთ არავინ გამოეშვათ. მისი ცქვიტი, მარდი და მიმხვდური განკარგულებით ისეთი წესიერება დაარსდა ქუთაისის სადგურზე, რომელსაც აქ რკინის გზის გახსნიდან მხოლოდ ეხლა ვხედავთ. ხანჯლებიც ქონდათ და ხმლებიც, მაგრამ წესიერება მშვენიერი სუფევდა და დიდი მადლობელიც არიან ყველანი ბ. გამრეკლიძისა. გაბედულად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ თუ რაიმე უწესოება არის ჩვენში რკინის გზებზე, პირველად დამნაშავენი არიან თვით წესიერების დამცველნი და შემდეგ ხალხი.

დეკ. დ. დამბაშიძე.

ფონოგრაფით გადაღებული სახალხო სიმღერა.

ძლივს ეღირსა ქართული სიმღერების ხმებს ფონოგრაფით გადაღება! რამდენიმე წელიწადია, რაც უკეთეს საშუალებად სახალხო მელოდიების გადასაღებად ფონოგრაფი შემოიღეს. ჩვენში ამას ეხლახან მიაქციეს ყურადღება და ამ ზაფხულს ბ. ზაქარია ფალიაშვილმა «წერა-კითხვის საზოგადოების“ დახმარებით კახეთსა და გურიაში გადაიღო სიმღერების ხმა.

ჩვენ დავესწარით აგვისტოს 18-ს ფონოგრაფის დაკვრას და შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მომეტებული ნაწილი სიმღერებისა კარგის სინამდვილით ჩაწერილა, რამდენადაც კი ფონოგრაფს შეუძლია.

ყველაზე წინ უნდა ვსთქვათ, ჩვენი ნახული ფონოგრაფის ცილინდრები (მილები) წმინდა სანთლისა იმ სიდიდეა, რომ მასზე დაიწერება ორი წამის ხანში სამღერალი ხმა. იმის გამო უფრო მეტის ხანგრძლივად სამღერალი ვერ იწერება და ამიტომ, სიმღერა თუ გრძელია, ან უნდა აჩქარებულად ნამღერი დაიწეროს, ან უნდა შეიჭრას და უკუდოდ გამოვიდეს. საზოგადოდ გრძელი სიმღერისათვის უფრო დიდი ზომის ცილინდრებია საჭირო.

სწორედ ეს მიზეზია, რომ ზოგი სიმღერა სრულიად და კარგად არის გადაღებული, რომელიც კი ორ წამში ასწრებს გათავებას, და სრულად კარგად ვერ არის გადაღებული უფრო გრძელი სიმღერები.

კახურის სიმღერებისაგან მშვენივრათ გაიგონებთ სუფრული (ჩაკრულს) მკიდამ წამოსვლის დროს სიმღერას და ურმულს. მეტადრე ეს ორი უკანასკნელი კარგად ისმის, ეტყობა კარგი მომღერლები ყოფილან, მეტადრე ურმულის მომღერალი. სიმღერის ხმა ნამდვილი ხმაა ადამიანისა, მხოლოდ სიტყვები მკაფიოდ ვერ ისმის, რაიცა მომღერლის ბრალი უნდა იყოს და არა ფონოგრაფისა.

გურულ სიმღერებში უკეთესად გამოსულა საცეკვაო სიმღერები კრიმანჭულებით და თან ტაშის კვრით. „ხასამბეგური“, გათქმული ქობულეთური სიმღერა ქობულეთში და აჭარაში, ვერ გვეჩვენა თავის მშვენიერებით, როგორც ეს გაგვიგონია გურიაში. უკეთესი ამის მომღერლების სიმღერას ვერ შეედრება ეხლა გადაღებული. „ნადური“ ორჯერ არის გადაღებული და არც ერთი არ ვარგა. გძელი სიმღერაა და ვერ მოუსწრია ფონოგრაფს. უკეთესად ისმის „ხელხვავი“ და აგრეთვე „შინდი მინდი“. სიტყვები გურულ სიმღერებშიაც მკაფიადობას მოკლებულია კახურსავით. რაც უნდა იყვეს, ეს პირველი საცადისია ქართულ სიმღერების ხმების წერისა. დღევანდლამდე ნოტებზედ გადამღებნი ვერ ახერხებენ, რომ სრულის სინამდვილით დასწერონ ქართული სახალხო მელოდიები და ამიტომ ფონოგრაფით წერა აუცილებელი საჭიროებაა. სანამ ნოტების მწერლებში მცოდნე, ნიჭიერი და განსწავლული გამოჩნდებოდეს, და მაშინაც კი, თუნდ გამოჩნდებოდეს, ერთად ერთი საშუალება ნამდვილად სიმღერის შეკრებისა და წერისათვის ფონოგრაფი. ფონოგრაფი მუსიკის მცოდნე ნოტების

მწერლებსაც და მომღერალ გუნდებსაც დიდ დახმარებას მისცემს. ამისა გამო დღეს ვისაც სახალხო მელოდიების მნიშვნელობა ესმის, ფონოგრაფით წერას უნდა მიაქციოს ყურადღება.

მადლობის ღირსია წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა, რომ დასაწყისი მისცა ამ საქმეს და ბატ. ფალიაშვილს დააწერინა სახალხო მელოდიები, რომელიც სკოლებში სამღერლად უფრო საჭიროა, ვიდრე დღევანდლამდე ნაწერი ნოტები მცირე მცოდნე კაცებისა.

დასასრულ უნდა დავუმატოთ, რომ ფონოგრაფის მომართვა ძნელი საქმე არ არის, ადვილი შესასწავლია და ყველას, ვისაც კი ყიდვა შეუძლიან, ადვილად მოახერხებს მომართვას. რასაკვირველია უკეთესად მას შეუძლიან, ვისაც მუსიკის სწავლა მეტი მიეღია. წერის დროს, რასაკვირველია, საჭიროა კარგი ხმიანი მომღერლები მოსძებნოს დამწერმა და იმისთანა სოფელი, საცა უფრო შენახულა კარგი სიმღერების ხმა და გათქმულია მომღერლებით. „ივერია“

ვორნების სალარიოდან.

—ქალები, რომელთაც მარტო გარეგანი სილამაზით მოაქვსთ თავი, ამტკიცებენ, რომ მათ არავითარი დიდსება არა აქვთ.

—კაცის მოსეიდვა ქალებით უფრო ადვილია, ვინემ სხვა რამეთი.

—ეოგელივე უბედურება, რომლის თავიდან მოშორება არ შეიძლება, უფრო ადვილი ასატანი შეიქნება, თუ კაცს მოთმინება არ დაეკარგება.

—უბედურების წვეა მაშინ არის სასირცხო და სამწუხარო, რომ იგი დაიმსახურა კაცმა.

—არავის არ შეუძლია ისე ამბარტავნობა, როგორც სულელს, რომელსაც სიჩუმით უნდა თავის თავი ფილოსოფოსად გამოაჩინოს.

—ფუქსავატი და თავ-ცარიელა კაცები თავიანთ უბრალო და უმნიშვნელო საქმეებს ისე ადიდებენ, რომ დიდ და შესანიშნავ საქმეებს ვეღარც კი ხედავენ.

—შესანიშნავ კაცებად ისინი არიან მისამჩნევი, რომელთაც სიკვდილის შემდეგ ეველა საკლისობს.

—ვინც ბევრს ცდილობს თავის გამოჩენას და დიდ კაცობას, ისინი არასოდეს არ შეიქნებიან გამოჩენილნი და დიდ კაცნი.

—ბარბაროსობა ორნაირია: ერთი არსებობს განათლების წინ და მეორე განათლებას მისდევს.

—არასოდეს არ უნდა ერწმუნოთ იმ კაცების სიტყვას, რომელთაც ბატიოსნება დაუკარგავთ და ცუდი ეოფაქცევისანი არიან.

ეურნალ-გაზეთებიდან.

ქართველების „მეგობარი“ ვ. ველიჩკო, თუმცა დიდი ხანია რაც გადიხვეწა ჩვენი კუთხიდან, მაგრამ, მაინც ვერ სძლებს ისე, რომ ქართველებზე არაფერი სთქვას. ბ. ველიჩკო ძლიერ ბევრს პირდებოდა ჩვენში მის ბრძად თაყვანისმცემელთ, რომელთა შორის ჩვენი პუბლიცისტებიც იყვნენ და აიმედებდა კიდეც მათ: კავკასიაში გაზეთს დავაარსებ და ჩემ პოლიტიკას განვაგრძობ, მაგრამ ყველა ესენი გაუცრუვდა. დიდ იმედებს უქადდენ ყოველ ახალ წლობით მისი ნასხურები თანამშრომლები მთელს ქვეყანას თავიანთი ნიჭითა და წერით, მაგრამ არარაისაგან, რასაკვირველია, არა რა გამოვიდოდა. ეხლა, როგორც ვსთქვით, გული არ უთმენს, რომ არაფერი სთქვას ქართველების სასარგებლოდ და აი რა დაუბეჭდია ერთ რუსულ გაზეთში ბ. ველიჩკოს:

„თუ ჩაუკვირდებით ქართველთა ცხოვრებასაო, ამბობს ველიჩკო, ნათლად დავინახავთ ამ ერის სულიერსა და მატერიალურ დაცემასაო. ამის მიზეზი ბევრიაო. პირველი მიზეზი—ომიანობის მოსპობა და მშვიდობიანად ცხოვრება არისო. ქართველები, არწმუნებს ველიჩკო მკითხველთ, ომში ჰპოვებდენ ძალასაო და ხანგრძლივი მშვიდობიანობა მათთვის საზარალო არისო. ომი ასაზრდოვებდა ქართველის საარწმუნოებრივს გრძნობასაო, ეს გრძნობა კი გამაცოცხლებელი იყოო... მაშასადამე, პირველი დასკვნა ჩვენის „მეგობრისა“ შემდეგია: ქართველი ომით იყო ცოცხალი, მშვიდობიან ცხოვრებისათვის კი ის სუსტია და გამოუსადეგარი„...

„პრინციპიალურად მესამოცე წლების დიდმა რეფორმებმა შეიტანეს ქართველთა ცხოვრებაში გარეგანი სიცხოველე, მაგრამ ამასთანავე ღრმა და მავნებელი გავლენა იქონიეს მათ შინაურ ცხოვრებაზე. მაღალი წოდება მალე დაეცა და დაადგა განადგურების გზას, ხალხი კი აღმოჩნდა უმწყემსო ფარად (народная масса оказалась безпастушнымъ стадомъ)“.

«ვარანცოვის დროს იყო სწორედ იმ ტიპის სკოლა, რომელიც ნამდვილად შეეფერებოდა ადგილობრივ მოთხოვნილებათ. ეს იყო სკოლები ბატალიონებში და პოლკებში, რომელნიც ცოტა ცოდნას იძლეოდნენ, მაგრამ დიდი აღმზრდელი მნიშვნელობა ჰქონდათ, რადგანაც წრთვნიდნენ ხასიათს და უნერგავდნენ ქართველებს მოვალეობასა და ღირსების გრძნობას, ყოველივე ეს კეთილი იყო ქართველთა სულიერ მხარისათვის, რადგანაც ქართველებს უწინარეს ყოვლისა დისციპლინა სჭირიათ. ამიტომაც სწორედ ამ სკოლიდან გამოვიდა ბევრი შესანიშნავი მხედართ-მთავარი და ადმინისტრატორი, რომელთა ბუნებრივი ნიჭი სავსებით აღუვავდა. მხოლოდ ამგვარ სკოლას შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია ქართველთა ძველთაგან ნაანდერძევ მრავალ ნაკლულევანებათათვის»...

უკანასკნელად ბ. ველიჩკოს აქ ყოფნის დროს, მან კავკავის მთიულეთში ინება წასვლა, რომ ხალხის ცხოვრებისათვის გადაეცლო თვალი. ძლიერ გაუკვირდა ბ. ველიჩკოს, რომ მთიული ხალხი თავიანთ მღვდლებზე ბევრად უფრო პატივს ცემდა ხევის ბერებს—ესრედ წოდებულ „დეკანოზებს“. ველიჩკომ ურჩია ჩვენ საზოგადოებას და სათანადო მართებლობას, რომ ეს ხევის საბერო (სადეკანოზო) პირები სემინარიაში აღეზარდათ და მღვდლობა მათთვის მიენიჭებინათ. მადლობა ღმერთს, რომ არ გაუგონეს მას...

* *
*

გამოცხადდა შემდეგი ცირკულიარი შინაგან საქმეთა მინისტრის გუბერნატორების მიმართ: „მოუსავლობას, რომელიც ეწვევა მთელს გუბერნიას ან და რამდენსამე მაზრას, როგორც მაგალითი გვიჩვენებს, ადვილად შეუძლია გამოიწვიოს სხვა-და-სხვა ავადმყოფობის გავრცელება. ამიტომ, გარდა იმ წესებისა, რომელიც მე აღვნიშნე 17 აგვისტოს ცირკულიარში, საჭიროდ ვრაცხ დავაწესო საექიმო დახმარება დაზარალებულთ ადგილებში. საგუბერნიო და სამაზრო დებულების მეორე მუხლის და მერვე პუნკტის თანახმად, ეს საქმე ევალება საერობო დაწესებულებათ; იმის გამო უმორჩილესად ვსთხოვ თქვენს აღმატებულებას, წინადადება მისცეთ მომავალს საერობო კრებას განიხილოს შემდეგი საგნები: 1) მაზრაში საექიმო და საფერშლო განყოფილება იმდენი უნდა იყოს, რომ განყოფილების ექიმს თავის ფერშლებით დაუბრკოლებლად შეეძლოს თვალ-ყურის დევნება სნეულ მკვიდრთათვის; რადგანაც ეხლანდელი რიცხვი ექიმებისა ამ საქმისათვის საკმაო არ იქნება, საჭიროა მათი რიცხვის მომატება. 2) ფერშლები დრო-გამოშვებით უნდა დადიოდნენ თავიანთ რაიონებში და თუ ვისმე ღრძილების ანთება, ანუ გადამდები სენი გაუჩნდება, დაუყოვნებლივ თავიანთ რაიონის ექიმს უნდა შეატყობინონ. ექიმი ადგილობრივ უნდა წავიდეს და შესაფერი ღონისძიება მიიღოს სნეულის მოსარჩენად. 3) თუ ადგილობრივი საავადმყოფოები ავადმყოფებით გაივსება, რაიონის ექიმს უნდა მისცეთ ვარაუდით ათ-ათი თუმანი თითოს, რათა ავადმყოფებს რიგზე მოუარონ. ავადმყოფების მოსავლელად შეიძლება დაიქირავონ გარეშე პირნიც, იმავე სოფლის მცხოვრები ქალი ანუ კაცი. 4) ეხლავე განკარგულება მოახდინონ, რომ ექიმებს დროზე მიეცეთ საჭირო წამლები. 5) საზოგადოების ჯანმრთელობისა, მიღებულ ღონისძიებისა და ადგილობრივ საჭიროებათა შესახებ ექიმები პირდაპირ აცნობებენ სასურსათო ზედამხედველს.

თუ ზოგიერთი ღონისძიება შეძლების უქონლობისა, ან სხვა პატივსადებ მიზეზთა გამო ვერ შესრულდა, თქვენ დაწვრილებით უნდა მომახსენოთ ამის თაობაზე. ამას გარდა თქვენ უსათუოდ უნდა ეცადნეთ საექიმო რაზმები შეადგინოთ; ამ რაზმებს საგუბერნიო მმართველობა გაჰგზავნის იმ ადგილებში, სადაც სენი გაჩნდება. არა ნაკლებ ორის ამისთანა რაზმისა უნდა ნიადაგ მზად იყოს იმ მაზრაში გასაგზავნად, სადაც სენი გაჩნდება; როცა ეს რაზმები გაიგზავნება სადმე, იმათ მაგიერად სხვა რაზმები უნდა შედგეს; რასაც ამ ცირკულიარით ღონისძიებას მიიღებთ, დეპეშით უნდა

მაცნობოთ, და ყოველი მიწერ-მოწერა ამ საქმის შესახებ სამინისტროსთან დეპეშით უნდა იქონიოთ».

***

«რუსსკ. ვედომ.» ამბობენ, რომ საშუალო სკოლა ერთნაირი უნდა იყოს რუსეთის ყველა მხარისთვის; ეს სკოლა უწინარეს ყოვლისა უნდა ასწავლიდეს იმას, რაც ყველასათვის უფრო საჭიროა, რასაც შეუძლია გაწვრთნას ყმაწვილის გონება და გული, ვინც უნდა იყოს ეს ყმაწვილი: რუსი, პოლონელი, ქართველი თუ სომეხი. მაგრამ შემდეგ სკოლას უნდა მიეცეს ცოტაოდენი თავისუფლება, რათა დაუახლოვდეს ადგილობრივ პირობა-საჭიროებათაო. მაგალითად, ამბობს გაზეთი, გეოგრაფიისა და ისტორიის სწავლების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივ გეოგრაფია-ისტორიის შესწავლასაო. ზოგიერთ ადგილებში კი, განაგრძობს გაზეთი,

„სასარგებლო იქნება შემოღებულ იქმნას დამატებით საგნები, რომელთა სწავლება სავალდებულო უნდა იყოს ყველა მოწაფეთათვის ან ნაწილისათვის, მაგალითად, პოლონეთში სასარგებლო იქნება პოლონურ ლიტერატურის შესწავლა საშუალო სკოლაში; ტფილისისა და ქუთაისის საშუალო სკოლებში სასარგებლო იქნება ქართულ და სომხურ ენების და ლიტერატურის და აგრეთვე კავკასიის ეტნოგრაფიისა და არხეოლოგიის შესწავლა"...

„რა გზით და საშუალებით უნდა მოხერხდეს ეს საქმე, ეს ადგილობრივ უნდა გამოირკვეს სპეციალისტებისაგან: ჩვენ მხოლოდ საჭიროდ მიგვაჩნდა პრინციპიალურად დაგვეყენებია ეს კითხვა".

***

რუსეთში, არაყის ვაჭრობის მონოპოლიის შემოღებაში, სხვათა შორის, ლოთობის წინააღმდეგ საშუალებასაც ხედავდენ. თუ რა შედეგი მოყვა ამ მონოპოლიას, ამას ნიჟნინოვგოროდის მაგალითი გვიჩვენებს. მონოპოლიის შემოღების შემდეგ იმ ზომამდე გავრცელებულა ქუჩებში ლოთობა, რომ ქალაქის საბჭო იძულებული შეიქნა ყურადღება მიექცია ამ სამწუხარო მოვლენისათვის. როგორც საბჭოს სხდომაზე გამოირკვა, ეს ქუჩაში ლოთობა ისეთ უმზგავსოებათა და უსაქციელობათ იწვევს ქალაქში, რომ წარმოუდგენელია. საღამოობით (ხშირად ძალიან ადრე) ხდება ქალების გაძარცვის, შეურაცხყოფის მაგალითები. ამ ქუჩაში მოქეიფეთა ჯგუფები ითრევენ თავისს წრეში ახალგაზდებს და რყვნიან. უსაქმელოთ არაყის სმამ ბევრათ გაამრავლა დამთვრალთა რიცხვი, რომელნიც ქუჩებში ტიტველ მიწაზე ყრიან და ძინავთ; ამას მოყვა ავადმყოფობათა გახშირება. სკანდალებისა და უწესოებათა გახშირებამ ადმინისტრაცია იძულებულ ჰყო პოლიციელთა «პოსტები» მონოპოლიის სავაჭროებთან გადაეტანა.

ამ მიზეზით ქალაქის თვითმართველობა 1) თხოვს გუბერნატორს აღკრძალოს ქუჩაში ლოთობა, 2) დააყენონ პოლიციელები ყველა ღვინის სავაჭროებთან და მათი ჯამაგირი გაიღონ სახელმწიფო ხაზინიდან, და 3) შეადგინოს განსაკუთრებული კომისსია იმ ცუდ მოვლენათა გამოსარკვევად, რომელიც მონოპოლიას მოყვა.

***

ამ უკანასკნელი კვირის განმავლობაშიაც დიდი შეტაკება მოუხდენიათ ბურებს და ინგლისელებს. დეპეშით იტყობინებიან: იტალიის სიმაგრის მახლობლად მომხდარ ბრძოლაში მოუკლავთ ერთი ინგლისელი პორუჩიკი და 11 სალდათი; დაუჭრიათ 5 აფიცერი და 38 სალდათი. გარდა ამისა 63 კაცი უგზოუკვლოდ დაკარგულა. ბურების მხრივ მოუკლავთ 250 კაცი და 300 დაუჭრიათ თუ ტყვედ წაუყვანიათ. ბრძოლა გაგრძელებულა 19 საათს. ამ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდენ: გენერალი ლუი ბოტა, მაიორები: გრომელაადი; ეშმეტი, დანჰაუზერი, ოპერმანი და სხვ.

***

„ბერლ- ტაგებლატ"-ს კონსტანტინეპოლიდან სწერენ: „რუსეთის საელჩოს შეუტყვია, რომ სომხეთში დიდი შიშიანობაა. როგორც ჩანს, ქურთები ისევ მალე დაეცემიან სომხებს. მოხელეები არაფერს არ აღიგებენ და სრულებითაც არა ზრუნავენ სომხებისათვის. ან კი რას გახდებიან? ყველა ქურთი კარგადაა შეიარაღებული. ოსმალეთის მთავრობა კი ირწმუნება, ტყუილად ეშინიან ხალხს, სომხეთში იმდენი ჯარი გვყავს, რომ წესიერების დარღვევას ვერავინ გაბედავსო.

ახალი ამბები და შენიშვნები.

8 სეკდემბერს გელათმა ჩვეულებრივად იდღესასწაულა ღვთის მშობლის შობა. 7 გელათის მონასტერში მიბრძანდა მათი მეუფება ლეონიდი და მწუხრი და ღამისთევით ცისკარი გარდიხადა მონასტრის სამღვდელოების თანამსახურებით. 8-ს წირვა შეასრულა მათმა მეუფებამ ახიმანდრიტების სერაფიონის, ბესარიონის, ნიკიფორეს და სხვა სამღვდელოთა თანამწირველობით. წირვის გათავების შემდეგ, პარაკლისის წინ, მათმა მეუფებამ წარმოსთქვა მეტისმეტად მგრძნობიარე და შესანიშნავი სიტყვა, რომელიც ამავე ნომერში იბეჭდება. სიტყვის შემდეგ პარაკლისი იყო გარდახდილი, რომელზედაც მათ იმპერატორებით და მთელი სამეფო სახლეულობის სახელზე წარმოთქმული იყო ძრავალ ჟამიერობა. გელათობას დიდი ხალხი დაესწრო. არავითარი უწესოება არ ყოფილა.

*** გამოცხადდა, რომ ქალაქი კონსტანტინეპოლი შავის ჭირის მხრით საშიშრად არის აღიარებული.

*** ამ წელს იურიევის უნივერსიტეტში შესულა ორასოთხმოცდა რვა სემინარიელი.

*** უკანასკნელ დიდ წვიმებს გამოფენისათვისაც მიუცია ზარალი. წყალი ჩასულა და დაგუბებულა ხელოვნების, ბეჭდვითი საქმის და საოჯახო-მრეწველობის განყოფილებაში; მაგრამ აქ არაფერი გაფუჭებულა; ზარალი უნახავს მხოლოდ ნობელის პანორამას, სადაც ბევრი სურათი დაუსველებია წყალს და გაუფუჭებია. მადლობა ღმერთს, რომ წყალს არ წაუღია სულ და დასოლება კიდევ არაფერია!..

*** საიუბილეო დღესასწაულისათვის ქალაქს 15 სეკდემბრამდე შეუკრებია სულ 1700 მანეთამდე. აქ შედის ის 500 მანეთიც, რომელიც ქალაქის საკრედიტო ბანკმა შემოიტანა.

*** ქალაქის გამგეობის მიერ შეგროვილ ცნობებიდან აღმოჩნდა, რომ ტფილისში სულ 1400 ძაღლს უნდა დაედვას გადასახადი; ხარჯი-აღრიცხვით კი გამოანგარიშებული იყო 800. ქალაქის გამგეობა შეუდგა გადასახადის ფურცლების შედგენას, რათა 1-ლ იანვრიდან დაიწყოს კიდეც გადასახადის აღება.

*** ამ დღეებში სენატმა განმარტა ერთი საგანი, რომელსაც ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს დასავლეთ საქართველოის გლეხთა ცხოვრებაში: საქმე იმაში მდგომარეობს, რომ საგლეხო კანონთა ძალით მებატონეს ნება აქვს ჩამოართვას გლეხს სანადელოდ მიცემული ვენახი, თუ იგი წამხდარია გლეხისაგან მოუვლელობის მიზეზით. დასავლეთ საქართველოში, როგორც ვიცით, ფილოქსერაა გავრცელებული და ვენახები ფუჭდება. ზოგიერთ მებატონეთ ისარგებლეს ამ შემთხვევით და გლეხებზედ საჩივარი განაცხადეს სათანადო დაწესებულებაში (ადგილობრივ მომრიგებელ-შუამავალთან) და თხოულობდნენ გლეხებს ჩამორთმეოდათ ვენახი და მებატონეებისთვის მიეკუთვნებინათ. ეხლა სენატმა განმარტა, რომ, თუ გლეხი წარმოადგენს მთავრობის აგრონომის მოწმობას, რომ წამხდარი ვენახი იმ ადგილებშია, რომლებიც ფილოქსერით დაზარალებულად ცნობილია, მაშინ ეს ვენახი აღარ ჩამოერთმევა გლეხს, რადგან მისი გაფუჭება გლეხის ბრალი კი არ არის, მისგან დამოუკიდებელის — ფილოქსერასი. ეს მეტად დიდმნიშვნელოვანი განმარტებაა იმ მხრითაც, რომ მებატონეები ხშირად თხოულობდნენ, რა კი ვენახი აღარ ვარგობს ამა თუ იმ ადგილზედ, ჩვენ მაშინ სახნავ-სათესად აღარ დავუტოვებთ და ისევ ჩვენ ჩაგვაბარეთ საკუთრადო.

*** ამერიკიდან პრეზიდენტის მაკ-კინლეის გარდაცვალებაზე იწერებიან: პრეზიდენტი გარდაიცვალა ღამის 2 ს. 15 წ საღამოს 7 ს. 50 წამიდამვე გრძნობა დაჰკარგა. პრეზიდენტის უკანასკნელი სიტყვები იყო: „მშვიდობით! ეს ღვთის განგებაა, აღსრულდეს ნება მისი“. ეს სიტყვები ჩასწერა მკურნალმა მანნმა. ქალ. მაკ-კინლეიმ თავის მეუღლე უკანასკნელად ნახა ღამის 11—12 საათზე; ცოლი იჯდა მომაკვდავთან და ეჭირა იმისი ხელი. ოთახში თითო თითოდ შედიოდნენ კაბინეტის წევრნი. სიკვდილის დროს იქ დაესწრნენ კერძო მდივანი კორტლაიონი, ექიმი რაირი, ქალბ. ბერბერი თავის ქალითურთ და ქალ. დენკენი. რადგანაც ვერ გამოირკვა პირდაპირი მიზეზი სიკვდილისა, გვამის გაჭრა საჭიროა. ცხედარს ვაშინგტონში წაასვენებენ და იქ დაასაფლავებენ სახელმწიფო ხარჯით. ვიცე პრეზიდენტი რუზველტი ფიცს იქ მიიღებს, სადაც გაიგებს პრეზიდენტის გარდაცვლას. მინისტრები მაშინვე დაეთხოვებიან თავიანთ თანამ-

დებობას, რომ საშუალება მისცენ რუველტს, თუ ჰსურს, ახალი კაბინეტი შეადგინოს.

*** უმაღლეს მთავრობას გადაუწყვეტია შეუდგეს ციმბირსა, იმიერ კასპიის მხარესა და სხვა ოლქებში, სადაც თავისუფალი ადგილებია, ამ ადგილების გამოკვლევას შიდა რუსეთიდგან ხალხის გადასასახლებლად.

*** ფინანსთა სამინისტროს აზრადა აქვს გააფართოვოს ლოთობის წინააღმდეგ მებრძოლ საზოგადოებათა მოქმედება. უმთავრესი ყურადღება მიექცევა სახალხო წიგნთ-საცავებისა და სამკითხველოების გამართვის საქმეს. ამისათვის სამინისტროს უკვე გადაუდვია საჭირო თანხა.

*** პარასკევს, 7 სექტემბერს, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სამკითხველოში (სათავად-აზნაურო შენობაში) კრება მოხდება საკვირაო სკოლების საქმეების შესახებ მოსალაპარაკებლად.

*** საიუბილეო გამოფენა გახსნილ იქმნა ყოველ დღე ხალხისათვის პავილიონების დასათვალიერებლად დილის 8 საათიდგან საღამოს 6 საათამდე, ხოლო გასართობებზე დასასწრებლად ნაშუადღევის 1 საათამდე.

*** ტფილისში ამ ჟამად გამოფენისა გამო დიდ-ძალი ხალხის მოძრაობით სარგებლობენ ჯიბგირ-ქურდ-ბაცაცები და აქეთ-იქით დასუნსულებენ საკბილოს რასმეს წააწყდნენ სადმე.

*** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს ვიცე პრეზიდენტმა სთხოვა გამოფენის ბეჭდითი სიტყვის განყოფილების გამგეს ბ. ყორლანოვს შეადგინოს მოკლე მოხსენება ადგილობრივ პრესის შესახებ და წარუდგინოს სამეურნეო საზოგადოების საიუბილეო კრების დროს 30 სექტემბერს. მოხსენებაში აღნუსხული უნდა იყოს ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთების ეხლანდელი მდგომარეობა და მისი მიუცილებელი საჭიროებანი. ამ ფრიად საყურადღებო საგანს საიუბილეო კრებაზე განიხილავს საზოგადოება და საქმის გამორკვევის შემდეგ შესაფერს მიმართულებას მისცემს ადგილობრივ დრო გამოშვებით გამოცემათა სურვილს.

*** გამოფენის პირველ დღეს კომისარიატს შემოსვლია გამოფენაზე შესასვლელ ბილეთებიდან 1000 მან.

*** წელს ტფილისის სასულიერო სემინარიის პირველ კლასში მიიღეს სულ 26 მოსწავლე, მსურველთა რიცხვი კი 60 ადიოდა. მიღებულთა შორის ქართველი მხოლოდ ცამეტია, დანარჩენი რუსები და ბერძნები არიან. ამ ექვსი წლის წინად ტფილისის სემინარია ქართული სემინარია იყო მოსწავლეთა რაოდენობით. სასურველია გავიგოთ, რით აიხსნება სემინარიაში წელს მიღებული ქართველ მოსწავლეთა რიცხვის ასეთი სიმცირე. ვიმეორებთ, ტფილისის სემინარია უმთავრესად ქართველ სასულიერო წოდების სასწავლებელი იყო და უნდა იქმნეს კიდეც. („ცნ. ფურც.")

*** გაზეთები იუწყებიან: პრეზიდენტი რომ მორჩენილიყო. მის დამჭრელს 10 წლით გაჰგზავნიდნენ კატორღაშიო. ამერიკის კანონის ძალით, პრეზიდენტისა და უბრალო მოქალაქის დაჭრისათვის ერთნაირი სასჯელია დანიშნული. რაკი პრეზიდენტი გარდაიცვალა, ამიტომ შეიძლება ჩოლგოსი სიკვდილით დასაჯონო. ამ საქმეს ბუფალოს შტატის სასამართლო გაარჩევსო.

*** უკანონოდ შობილ—მიგდებულ ბავშთა შესანახავად ამ მიმდინარე წელში ითხოვება ექვსი ათას ხუთასი მანეთი, იმ თექვსმეტი ათას მანეთზე მეტი, რომელიც დღემდის იხარჯებოდა. ეტყობა კეთილ ზნეობა წარმატებისაკენ მიდის!..

*** ჩვენის საეკლესიო მუზეუმის ხელთნაწერთა შორის მეთორმეტე საუკუნეში (ვგონებთ, ცოტა ადრეც) შედგენილი ხელნაწერი (ბომბიცინაზედ) აღმოჩნდა, რომელშიაც ქართლის კათოლიკოზის დიდის არსენის შემდეგი ნაწერებია მოთავსებული: ცხოვრება წმ. ნინოსი, შიო მღვიმელისა, დავით გარეჯელისა, აბებოს ნეკრესელისა, ისე წილგნელისა და სხ. ამ კრებულშივე მოთავსებული ყოფილა „სიბრძნე ბალავარისაც", რომლისაგანაც მხოლოდ რამდენიმე ფურცელი-ღა დარჩენილა; იგი საკმაოდ განსხვავებულია ბ. თაყაიშვილის გამოცემულის ტექსტისაგან. ამ ფურცლების გამოცემას აპირობს ჩვენი მოღვაწე ა. ხახანაშვილი, რომელსაც ამ ცოტა ხანში სისწორით გადაღებული პირი გაეგზავნება.

*** საიუბილეო დღესასწაულების გამო ტფილისის გუბერნატორის განკარგულებაში გადასცეს 25,000 მ. აქედან 500 მანეთი უნდა დაიხარჯოს

კავკასიელ ჯარების ვეტერანებისათვის დღესასწაულის გასამართავად და დანარჩენი 20,000 მან. ხალხის გასამასპინძლებლად. ტფილისის გუბერნიის მცხოვრებთაგან უნდა ჩამოვიდეს იუბილეისათვის 800 წარმომადგენელი. ამათი დაბინავება და შენახვის საქმე მინდობილი აქვს ტფილისის პოლიციმეისტერს.

*** მიწად-მოქმედების სამინისტრომ ნება დართო კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას გამართოს 15 სექტემბრიდგან 20 ოქტომბრამდე კრებები მიწად-მოქმედებისა, მეღვინეობისა და მეევნახეობისა, საოჯახო მრეწველობისა, საქონლის მოშენებისა და მერძევობისა. კარგი და პატიოსანი, მაგრამ ამ მოკლე ხანში ვინ უნდა მოასწროს საჭირო მოხსენების წარმოდგენა?

*** კავკასიის გამოფენის გამგე კომიტეტის განკარგულებით, 5 სექტემბრიდან გამოფენაზე შესასვლელი ფასები იქნება: დღისით, გამოფენის უმთავრეს პავილიონის დახურვამდე 20 კაპ., საღამოს 30 კაპ., კვირა-უქმე დღეებში კი დილით 10 კაპ., და საღამოთი 20 კაპ.

*** მოგეხსენებათ, რომ საიუბილეო დღესასწაულობას ხარჯი მოუა. ამ ხარჯის დასაფარავ შემოსავალს საზოგადოებისაგან ელიან. როგორც მოგვითხრობს «ცნობის ფურცელი», აქამდე ტფილისის მცხოვრებთაგან შემოსულა საიუბილეო დღესასწაულის მოსალოდნელ ხარჯების დასაფარავად სულ 119 მანეთი.

*** როგორც შეგიტყვეთ, უმაღლესის მთავრობის ბრძანებით, ბ. დ. კეზელი განთავისუფლებულ იქმნა იმ სასჯელისაგან, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინად გარდაუწყვიტა ტფილისის სამოსამართლო პალატამ; კეზელის სამშობლოში ცხოვრების ნება მიენიჭა.

*** სასულიერო უწყებაში აღუჩრავთ საკითხი იმის შესახებ, რომ სიცოცხლის სავალდებულო დაზღვევა იქმნას დაწესებული ყველა სასულიერო პირთათვის. ამ საგნის განსახორციელებლად აპირებენ ყოველ ეპარქიაშია განსაკუთრებულ დამზღვევ კომიტეტების დაარსებას.

უმაღლესი რესკრიპტი მისი იმპერატორებითი უმაღლესობის, დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელზე საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლის დღესასწაულობის გამო.

თქვენო იმპერატორებითი უმაღლესობავ! საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლის თავის მნიშვნელოვან დღესასწაულ დღეს, მე სიამოვნებით ვიგონებ ამ სახელოვან ისტორიულ გარემოებას. ასი წლის წინად საქართველოს მეფემ გიორგი ირაკლის ძემ თავისი თავი და თავისი ქვეყანა გადასცა ღვთივ განსვენებულის იმპერატორის პავლე პირველის მფარველობისა და უფლების ქვეშ. ასეთმა თვის ნებითი დამორჩილებამ დასაბამი დაუდო საქართველოს რუსეთის იმპერიასთან განუყოველ შეერთებასა და რუსეთის მპყრობელობის გავრცელებას კავკასიის ქედის იქეთა მხარეს. ამ დროიდან ქართველი ხალხი და განსაკუთრებით ქართველი თავად-აზნაურობა შეურყეველად იმჩნევენ რუსეთის ხელმწიფეთა და ახალ სამშობლოისა მიმართ ერთგულების მაგალითსა. ბრძოლის ველებზე, სადაც კი წარსულ საუკუნის განმავლობაში ჩვენი ჯარი შეხვდებოდა ხოლმე რუსეთის მტერთ, ქართველ მოავართა, თავადთა და აზნაურთა წინაპარნი თავის სისხლს ღვრიდნენ რუსის საქმისათვის და თავის განუზომელ სიმამაცით ჩვენის იარაღის გამარჯვებას ხელს უწყობდნენ. ცოტანი არ არიან ქართველ თავადაზნაურთაგანი, რომელთაც დაუვიწყარი სახელი მოიხვეჭეს, როგორც რუსეთის ჯარის სარდლებმა; ამგვარივე სახელი თავად-აზნაურებმა მოიხვეჭეს და დაიმსახურეს თანამედროვეთა პატივისცემა და შთამომავალთა კეთილი მოგონება თავის სასარგებლო მოღვაწეობით საქალაქო მართვა-გამგეობაში.

სიმართლით მოვიგონებ ქართველ თავად-აზნაურთა რუსეთის წინაშე ღვაწლსა, რომელიც არა ერთხელ მოწყალედ იყო დაფასებული ჩემ წინაპართაგან, და ვუცხადებ თავად-აზნაურობას ჩემს იმპერატორულსა და მეფურს სათნოებასა. ამ სათნოების ცხად ნიშნად იყოს აღრჩევა დღევანდელს დღესასწაულებზე ჩემს წარმომადგენლად საიმპერატორო სახლეულობის უხუცესის წევრის—თქვენის იმპერა-

ტორებითის უმაღლესობისა, რომელმაც კავკასიის თავის ბრწყინვალე და კეთილ დიდის ხნის მმართველობით იქაურ მცხოვრებთა გულწრფელი სიყვარული და ერთგულება მოიხვეჭა.

სურვილი მაქვს საქართველოს რუსეთთან შეერთების ასის წლის შესრულება აღვნიშნო ზოგიერთ ღონისძიებათა მიღებით, რომელთა შემწეობით შეიძლება ქართველ ერის უმთავრეს საჭიროებათა დაკმაყოფილება. ამიტომ კეთილად ვცნობ:

1) დაარსდეს კავკავში კადეტთა კორპუსი და ამ საშუალებით მოემატოს იმ უფასო ვაკანსიების რიცხვს, რომელნიც აქამდე ეკუთვნოდნენ ტფილისის და ქუთაისის თავად-აზნაურების შვილებს.

2) ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავად-აზნაურთა შვილების აღზრდის საქმეში დასახმარებლად მიეცეს სახელმწიფო ხაზინიდან ყოველ წლივ ორმოცი ათასი მანეთი ორივე გუბერნიებზე; ამ ფულის ხარჯვისა და მოხმარების შესახებ წესები უნდა შეიმუშავონ ადგილობრივმა სათავად-აზნაურო საგუბერნიო კრებებმა და თავისი მოსაზრებანი წარუდგინონ კავკასიის მთავარ-მართებელს, რომელიც სათანადო მსვლელობას მისცემს მათ არსებულის კანონების მიხედვით.

3) ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავად-აზნაურთა მამულები, რომელნიც 12 ივნისის 1900 წლის სენატისადმი ბრძანებით განთავისუფლებულ იქმნენ სამის წლით (1901—1903) სახელმწიფო საადგილ-მამულო გადასახადისაგან, კიდევ სამის წლით (1904—1906) განთავისუფლებულ იქმნენ ამ გადასახადისაგან.

4) მიეცეს ნება ტფილისის სათავად-აზნაურო საგუბერნიო კრებას თავის შეხედულებით მოიხმაროს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის წმინდა მოგების ის ნაწილი, რომელიც წესდების ძალით, ხმარდება ტფილისის გუბერნიის მიწად-მომქმედთა და მიწად-მფლობელთა საზოგადო საჭიროებასა და სამეურნეო თანხის გადიდებას; საგუბერნიო კრების დადგენილებანი ამ ფულის დახარჯვის შესახებ, უნდა წარედგინოს კავკასიის მთავარ-მართებელს დასამტკიცებლად.

5) ტფილისის თავად-აზნაურთ მიეცეს ნება, თუ ვინიცობაა ბანკი თავის მოქმედებას მოსპობს და ფულს გაანაწილებს პროპორციონალურად იმ წყაროების მიხედვით, რომელთაგან შესდგა ბანკის თანხები, დაისაკუთროს ამ თანხების ის ნაწილი, რომელსაც შეადგენს ღვთივ განსვენებულის იმპერატორის ალექსანდრე მეორის მიერ ბოძებული ფული, და

6) ეპატიოს ადგილობრივ სახაზინო პალატების მიერ 1901 წლის 1-ლ იანვრამდე აღნიშნული ნედოიმკა და ჯარიმა იმ სახაზინო გადასახადისა, რომელიც 1900 წელს, 12 ივნის, ჩემის ბრძანებით გაუქმებულ იქმნა ამიერ-კავკასიაში.

მე წინადადება მივეცი სათანადო მინისტრებს აღასრულონ ეს ჩემი ბრძანებანი და თქვენს იმპერატორებით უმაღლესობას ვანდობ გამოუცხადოთ ყოველივე ესე ტფილისისა და ქუთაისის თავადაზნაურობასა და ამიერ კავკასიის ყველა მცხოვრებთ.

დავშთები მუდამ თქვენი კეთილ-მყოფელი

ნამდვილზე მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის საკუთარის ხელით დაწერილია:

„ᲓᲐ ᲒᲣᲜᲓᲘᲗᲐᲓᲘ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ
ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ“

კომპიენ, 7 სექტ. 1901.

ეს რესკრიპტი წაკითხული იყო მთავარ-მართებლისაგან მისს სასახლეში 26 სექტემბერს, დილის ათი საათის ნახევარზე, სადაც შეკრებილი იყვნენ თფილისის და ქუთაისის თავად-აზნაურთა წარმომადგენელნი თავად-აზნაურებთან ერთად. მათი იმპერატორებითი უმაღლესობამ დიდმა მთავარმა მიმართა თავად-აზნაურობას შემდეგი სიტყვით:

«მე დიდად ბედნიერი ვარ, რომ ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და უმაღლესად ღირს მყო საქართველოს რუსეთთან შეერთების ასის წლის თავის დღესასწაულებზე ვიყო წარმომადგენლად მისს უდიდებულესობისა. იმის მოგონება, რომ განუყრელის კავშირით შეერთდნენ რუსეთისა და ქართველთა ერნი სამუდამოდ ხელმწიფეთა უფლების ქვეშე, ძვირფასი უნდა იყოს ყოველი რუსისა და ქართველისათვის. ამიტომაც თქვენი დღესასწაული ჩემ დღესასწაულად მიმაჩნია“.

უმაღლესი რესკრიპტის წაკითხვის შემდეგ დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ მიულოცა თავად-აზნაურთ ხელმწიფის წყალობა და უსურვა მათ ყოველივე კეთილი. თავად-აზნაურნი „ვაშას“ ძახილით მიეგებნენ რესკრიპტს და დიდი მთავრის მილოცვას.

სწავლა და მეცხოვრება ქრისტიანობრივ საარწმუნოებისა და კეთილმსნეობაზე.

სიტყვა,

თქმული 8 სექტემბერს—მდვთის-მშობლის დაბადების დღეს გელათის ტაძარში.

შობამან შენმან, ღვთის-მშობელო ქალწულო, სიხარული აუწყა ყოველსა სოფელსა.

შობა, დაბადება, შეძენა ოჯახში ნორჩი სულისა აუწყებს სიხარულს, აღავსებს მხიარულებით, შესძენს შვებას და ბედნიერ ჰყოფს ხოლმე მთელ სახლს. დღე ძეობისა, დღე ახალი წევრის დაბადებისა ყოველ შეგნებულ, გრძნობა-გონებით განვითარებულ და სულ ჩამდგმელი სიყვარულით მომქმედ ოჯახს აქვს მიღებული სალხინოთ და სადღესასწაულოთ. მაგრამ განა ეს მხოლოდ კერძო პირებისა და ოჯახების შესახებ ითქმის? განა მარტო კერძო პირებს და ოჯახებს აქვთ მიღებული სამხიარულოთ ოჯახის წევრის დაბადების დღე? არა, მსგავსივე შეხედულებისაა მთელი ერიც. დღესასწაულობს, აღფრთოვანებული მხიარულობით და ქრისტიანული გულსმოდგინებით ეგებება ყოველთვის ერი თავისი კეთილისმყოფელის, თავისი მეფის დაბადების დღეს. ვის არ აქვს გამოცდილი ის ზეციური სიამოვნება, ის სულით ერთობა საზოგადოების წევრთა შორის, ის ამამაღლებელი სიყვარული ერთმანეთისა, რომელიც ნათელ-სხივად ჩაგვეფინება ხოლმე ყველას გულში მეფის დაბადების დღესასწაულობის გამო.

დიაღ, სწორედ სასიხარულო და სადღესასწაულოა ადამიანის, მღვთის მსგავსების შობა, გარნა ვისი შობა შეედრება იმის შობას, რომელიც არის ქერუბიმთა უპატიოსნესი და სერაფიმთა უმაღლესი?! დიდია მეფის დაბადების დღე; მეტად მაღალ გრძნობებს ეღვიძებს იგი ერს, მაგრამ რომელი მეფის დაბადება დაედრება იმის დაბადებას, რომელიც არის მეფობის დაურდვეველი ზღუდე, საფარველი სოფლისა, უვრცესი დრუბელთა, ბჭე ცხოვრებისა, ხიდი, წიაღმუგანებელი ქვეყანისათა ცად მიმართ?! როგორ დაივიწყებს და რა გვარად არ იღღესასწაულებს კაცი იმ დღეს, რომელმაც გვიშვა შეუწევნელთა შემწე, უსასოოთა სასო, გლახაკთა შესაფედრებელი, მწუსარეთა ნუგეშინისმცემელი, მშიერთა კამაყოფელი, შიშველთა სამოსელი, სნეულთა მკურნალი, ცოდვილთა ცხოვრება, ქრისტეანეთა შემწე და შესაფედრებელი?!

გვრწამს, გვრწამს, ღვთისმშობელო ქალწულო, და მთელი ჩვენი არსებით ვაღიარებთ, რომ შობამან შენმან სიხარული აუწყა ყოველსა სოფელსა! ვხედავთ, რომ დღეს საქრისტიანო უგალობს შენსა შობასა, ქრისტეანეთა ბაგენი ადიდებენ შენი დაბადების დღეს, ქრისტეანეთა გონება გამოსთქვამს ამ სალხინო დღის სიდიადეს და ჩვენცა, მხურვალედ მსასოებელნი შენზედა, აღვსილნი უზომო სიხარულით, თაყვანისვცემთ, ვადიდებთ და დიდების ვმეტყველებთ შენსა დაბადებასა!

მხოლოდ ჩვენი ამ გვარი დღესასწაული და მხიარულობა არის საზოგადო, სხვა ქრისტეანებთან საერთო; ჩვენ კი, ე. ი. ქართველებს, გვმართებს სხვებთან შედარებით განსაკუთრებითი, მომეტებული და უაღრესი სიხარული, რადგანაც ჩვენი სამშობლო, ზეციერი მამის ხელით ჩაწვენილი ორ ზღვათა შუა საოცნებო აკვანში, ზეციერმა დედამ ღირსი გახადა თავისი განსაკუთრებითი მფარველობისა, გააბედნიერა თავისი წილხდომილებით. ამ ღვთისმშობლის დედობრივი მფარველობის ქვეშ გაიზარდა, აღორძინდა, მდიდრად გაიფურჩქნა და ია-ვარდად გადიშალა ჩვენ ქვეყანაში მართლმადიდებლობა, ქრისტეანობა, სახარება; ამ ფარველობამ აღმოგვიბრწყინა ჩვენ დაულამებელ ცისკრად წმ. მოციქული ანდრია, ღირსი დედა ნინო, ათაბეგი მამანი ასურელნი, წმიდა მოწამენი—შუშანიკა, დავით და კოსტანტინე, არჩილ და ლუარსაბი, შალვა, ბიძინა

და ელისბარი, ქებული ქეთევანი და სხვები, რომ-ლებმაც ცხოვრებით და ქადაგებით განამტკიცეს ქართველთა შორის ქრისტეანობა, აღზარდეს ერში ეკკლესიის ერთგულება, დაუბადეს მას მხურვალე სიყვარული ღვთის სიტყვისა, აგვმეს ციური სიტ-კბოება სამშობლოსა და ენისათვის თავდადებითი ზრუნვა-დაცვისა, გაანელეს თავიანთი ოფლით და სისხლით მძლავრი ალი კადნიერი მაჰმადიანებისა და სამუდამოდ დაბეჭდეს ჩვენი ქვეყანა სჯურგელითა მმგიდობისათა, უძლეველი საძლეველითა, ჯვარითა ეოვ-ლად ძლიერითა.

ღვთის მშობლის განსაკუთრებითი მფარველო-ბას უნდა მიეწეროს, რომ ჩვენ წინაპარებს მტკიცედ ჰქონიათ შეგნებული თავიანთი ესოდენი ბედნიერე-ბა და ამის გამო როგორც შინ, ისე გარეთ, რო-გორც ლხინში, ისე გაჭირვებაში ქალსაც და კაც-საც გული და გონება მუდამ მიმართული ჰქონიათ ღვთისმშობლისადმი, მაზედ ჰქონიათ მათ დამყარე-ბული მთელი სასოება, მუდამ მისს ვედრებაში ყო-ფილან და მგზავრობაშიაც კი არ მოუშორებიათ აკაფისტიკონის წიგნაკი, რათა ერასადა დასდუმებუ-ლიეყვნენ ღვთისმშობლის ძლიერებათა ქებად. ჩვენ ძვე-ლებს მთელი თავიანთი ქონება, ძვირფასი სამკაუ-ლი, ჯანი და მოსვენება ზედ შეულევიათ თავიანთი სასო ღვთისმშობლის დაბადების სახელობაზედ ტაძ-რების აღშენებისთვის, რომლებიც (ტაძრები) დღე-საც უვნებლად სდგანან და იმ ზომად აბრწყინვებენ ჩვენი სამშობლოს ღვთის მადლიანი მარჯვენით მო-ხატულ სახეს, როგორც ღვთისავე ხელით მაზედ გადაშლილ ლაჟვარდ ცას აელფერებენ ნათელმფრ-ქვევნი და საოცნებოდ მოკამკამე ვარსკვლავები. არ მეგულვება ისეთი კუთხე საქართველოსი, რომ დღეს ერი არ უგალობდეს ღვთისმშობლის დიდებულ ტაძარში. მაგრამ როგორც მლოცველთა სიმრავლით, ისე ტაძრის მშვენიერებით და სიდიადით დღეს მთელ საქართველოში პირველობს იმერეთი თავისი სიქადული, თავისი დიდება, თავისი ზეციური გვირ-გვინი, ობოლ მარგალიტი—გელათის ტაძრით.

გელათი! ოჰ, რამდენ მაღალ გრძნობას ეღვი-ძებს გულში იმერეთის შვილს ამ სამღთო წოდების გაგონება! რა აღმტაცი, უმანკო, საღმთო და გამამ-ხნევებელი მოგონებით უვსებს გონებას ეს ძვირფა-სი სიტყვა იმერეთის ძეთა და ასულთა! გელათი! ეს ხომ იმერელთა რწმენით ღვთისმშობლის საბრძა-ნებელია, ღვთისმშობლის მაღალი ტახტია, ეს ხომ ის ალაგია, საიდამაც დაულევნელად ეფინება ჩვენ სამშობლოს ღვთის დედის მადლი და კურთხევა, მისი ზეციური მფარველობა! რომელ იმერელს და-უტკბია თავისი სული ღვთიმშობლისადმი მხურვალე ლოცვა-ვედრებით, რომ ამავე დროს სულით და გონებით არ ყოფილიყოს გელათის ტაძარში? რო-მელი იმერელია, რომ გელათის გაგონებასთან ერ-თად არ წარმოუდგეს გონებაში ღვთაებრივი სახე ყოვლად წმ. ღვთისმშობლისა? გელათი და ღვთის-მშობელი, ღვთისმშობელი და გელათი განუშორებ-ლად შეერთებულია იმერელის გონებაში. ამის გამო ყველას სწყურია ამ ქვეყნიური სამოთხის ხილვა, ყველას ენატრება ამ საღმთო ალაგის თაყვანისცემა, ვალად უდებს შვილს ამ ტაძრის მოლოცვას ყოვე-ლი დედა. ვასრულებთ კიდეც ამ ჩვენი სულის ძლიერ მოთხოვნილებას; ყოველ წლივ ათასობით ვიკრიბებით ამ დიდებული სალოცავის ფრთეთა ქვეშე, მაგრამ რას ვხედავთ? რა სანახავს ღა წარ-მოადგენს ეს ჩვენი ერთად ერთი დიდება, ჩვენი სახელი? შიგნით წვიმს და თოვლს ჩამოურეცხავს, გადულევია და ჩამოუხლეჩია წმინდანების სახეები, გარეთ ქარსა და გრიგალს დაუფხავებია და გამო-უგილავს მთლად კედლები! რამდენიმე წელი კიდევ და დიდებული გელათიც მიიღებს იმავე სახეს, რო-მელითაც გულს უკლავს და სიცოცხლეს უნაღვე-ლებს დღეს ყოველ შეგნებულ ადამიანს ქუთაისის ბაგრატის ტაძარი. წავა გელათი და მასთან ერთად დაიმარხება ჩვენი ხსენება. წავა გელათი, და მოგ-ვეშლება ზეციური მფარველობა ღვთისმშობლისა. წავა გელათი და შერცხვენილნი დავრჩებით ქრის-ტეანებში. ნუ თუ მოვითმენთ ამ უბედურობას? ნუ

თუ არას ვიზრუნებთ ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის სახელისათვის? ნთ თუ გელათის ტაძარს თავზე დავინგრევთ? არა, არა მსურს ამისი რწმენა, არ მინდა დავიჯერო, რომ იმერეთში დიდი და პატარა, ქალი და კაცი, შინ მყოფი და სხვაგან წასული, სწავლული და უსწავლელი, სასულიერო და საერო თავს არ დასდებენ გელათისთვის, დაიშურებენ რასმეს მისთვის, მსხვერპლად არ შეეწირებიან მას. ისმინეთ, ძვირფასო შვილებო, გელათი ინგრევა, ისმინეთ და მისი ჯეროვანი განახლებისთვის საჭირო შეწირულებათა გამოღებით დაუმტკიცეთ ღვთისმშობელს და საქრისტიანოს სიწრფელე და სიმტკიცე თქვენი სარწმუნოებისა. ამინ!

ეპისკოპოზი ლეონიდი

სახელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

საეჭვო კითხვების განმარტება.

კით. უნდა ჩაიწეროს თუ არა მღვდლის ნამსახურებითი სიაში, რომ მღვდელი მართავს მღვთისმსახურების გარეშე საუბრებს, იმყოფება მოძღვრად ედადათა მონასტერში და ითვლება რომელიმე ძმობის წევრად? თუ ყოველივე ესეები უნდა ჩაიწეროს, საჭიროა თუ არა ამის შესახებ ნება-რთვა ეპარქიის მთავრობისა?

მიგ. ღვთის-მსახურების გარეშე საუბრების გამართვა შეადგენს თითოეული მღვდლის პირდაპირ მოვალეობას, ამიტომ ამის ჩაწერა ნამსახურებითი სიაში, ჩვენის აზრით, საჭიროა არ არის; არც მისი ჩაწერაა საჭირო, რომ მღვდელი იმყოფება მოძღვრად; რომელიმე ძმობის წევრად აღნიშვნა საჭიროა ნამსახურებითი სიაში იმიტომ, რომ ძმობის წესდების ძალით ძმობის წევრთ ნება აქვსთ ატარონ განსაკუთრებითი ნიშნები. ამის ჩაწერისათვის, თუ კი მღვდელს აქვს შესაფერი მოწმობა, რომ იგი იმყოფება წევრად და, მაშასადამე აქვს უფლება ატაროს ეს ნიშანი, საჭირო არ არის მღვდელ-მთავრის ნება-რთვა.

კით. შეუძლია თუ არა კრებულის რომელიმე წევრს, რომელსაც მოწმობის ჩვენებით დაუმტკიცდა მრუშობა და თვითონაც გამოტყდა კრებულის სხვა წევრებთან თავის მიერ ჩადენილ მრუშობაში, დარჩეს სამსახურში?

მიგ. სასულიერო კონსისტორიის წესდების მე-186 მუხლის ძალით კრებულის წევრს, რომელსაც კი დაუმტკიცდება გარყვნილი ცხოვრება, არ შეუძლია კრებულში დარჩენა. იგი მაშინვე გამორიცხულ უნდა იქნეს.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡ:

ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ: კავკასიის სამრევწველო-სასოფლო გამოფენა. დეკ. დ. ღამბაშიძისა — ორი უმთავრესი ცენტრი ქართველთა განათლებისა. იპ ვართაგავასა.—მართლმადიდებლობით—ქრისტეანებრივის საეკლესიო საზოგადოებითის ღვთის მსახურების განმარტება. კაჭახიძისა. — მეექვსე საბლაღოჩინო ოლქი ბორჩალოს მაზრაში. მღ. ს. ბაიდაშვილისა.—„მწყემსის“ კორრესპონდენცია. მღვ. ექ. მაისურაძისა.—წერილი რედაქციისადმი. კ. კ.-სა.—ოც-დათი წელიწადია აქა ვარ და დავრწმუნდი, რომ წესიერების დამყარება აქ არ შეიძლება. დეკ. დ. ღამბაშიძისა.—ფოტოგრაფით გადაღებული სახალხო სიმღერა.—გონების სალაროდან. —ჟურნალ-გაზეთებიდან.—ახალი ამბები და შენიშვნები.

ᲡᲬᲐᲕᲚᲐ და **ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲠᲘᲕ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲔᲑᲐᲡᲐ** და **ᲙᲔᲗᲘᲚ-ᲨᲝᲜᲔᲑᲐᲖᲔ:** სიტყვა, თქმული 8 სექტემბერს—მღვთის-მშობლის დაბადების დღეს გელათის ტაძარში, ყოვლად სამღ. იმერეთის ეპისკ ლეონიდის მიერ.

ᲡᲐᲭᲘᲠᲝ და **ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲪᲜᲝᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ:** საეჭვო კითხვების განმარტება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. **დ. ღამბაშიძე.** Редакторъ-Издатель П. Д. **Гамбашидзе.**

Дозволено цензурою, Тифлисъ, 18 сентября *1901 г.* ✦ *Цензоръ прот. Е. Еліевъ*

Типог. редакціи журн. „**Пастырь**“ (П. Д Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. А. Дейсадзе на Нѣмецкой ул.